საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№79 (9759) 2024 წლის 5 ივლისი. პარასკევი

ფასი 1 ლარი

დამოუკიდებლობის დღეს
გილოცავთ, ამერიკა!

გამოჩენილი ქართველი კაცი ლერი ხაბელოვი

6



7

თემო მაჭავარიანის რეტროსპექტული გამოფენა

რა იქნება 4 თვის შემდეგ?

რობინ დანიგანი:

აშშ-ს საქართველოსთვის მხოლოდ მშვიდობა და დამოუკიდებლობა სურს!

3

ირაკლი კობახიძე:

ჩვენ ვართ მოლოდინის რეჟიმში, ველოდებით შემხვედრ ნაბიჯებს.

2

პატრიარქმა ფეხბურთელები დალოცა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს შეხვდა.

შეხვედრა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელსოფელში, საპატრიარქო რეზიდენციაში გაიმართა.

ილია მეორემ ნაკრების ფეხბურთელები დალოცა.

შეხვედრას ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ნუგზარ რუხაძე

მაჭყუარა, ცბიერ ქვეყნად ამერიკის ჩამოყალიბებაში ყვითელ პრესას უდიდესი წვლილი მიუძღვის!

8

მართლაც ნაცმაცუნა უდლეურები!

2

ასეთი გზა- აბნეული ოპოზიცია ჯერ არ გვყოლია

3



სატირა(ლი) ამბები

მსოფლიოში სამართლებრივი წესრიგი მოიშალა!

– არავითარი გაუგებრობა აქ არ არის. ეს არის იმ გლობალურინდელი პოლიტიკის ნაწილი, რომელიც გააქტიურებულია რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ. უფრო ზუსტად, უკრაინაში დასავლეთსა და რუსეთს შორის არის შეიარაღებული დაპირისპირება, რის გამოც მთელი მსოფლიო არის დაძაბული. მოშლილია სამართლებრივი წესრიგი, უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა ყალიბდება – დიდი სახელმწიფოები ერთმანეთს ახალ-ახალ გამოწვევებს სთავაზობენ. თუმცა, ეს პოლიტიკა მძიმეა მცირე ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსთვის იმიტომ, რომ ჩვენ ამ რეგიონის არა მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ვართ, არამედ ვიმყოფებით გზაჯვარედინზე, როგორც პოლიტიკური, ასევე სამშვიდობო თვალსაზრისით. საქართველოს აქვს თავისი მნიშვნელოვანი როლი, რომელიც საკმაოდ მძიმედ იყო გაწერილი, რამეთუ გლობალური მოთამაშეები ჩვენს ქვეყანაში მეორე ფრონტის მოვლინებას ცდილობდნენ. ეს მცდელობა არ შენელებულა და საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ფაქტია, რომ უკრაინის გრძოლის დივერსიფიცირება უნდა მოხდეს. აქ ორი ალტერნატივა იხილება – ერთი არის საქართველო და მეორე ბალტიისპირა ქვეყნები.

საქართველოდან რუსეთის წინააღმდეგ დაწყებული კიდევ ერთი ცხელი წერტილი უფრო მძიმე იქნება (ერთგვარი სისხლის დამცლელი ფუნქციით) რუსეთისათვის, ვიდრე ბალტიისპირეთი. საქართველოსთან დაკავშირებით არ არსებობს ნატოს ვალდებულებაც, რაც არსებობს ბალტიის ქვეყნებთან მიმართებაში. ვალდებულება ნაკლებია, თუმცა სიმძიმე უფრო მეტი. ამიტომ, „უპირატესობა" მეორე ფრონტის გახსნის სცენარში, საქართველოს უფრო მეტი აქვს და ამას ხვდებიან ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლები. თქვენ ნახეთ, როცა არცთუ დიდი ხნის წინ თბილისის შუაგულ მოედანზე ანტისახელმწიფოებრივ მიტინგზე ბალტიისპირეთის სამივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო წარმოდგენილი. ისინი სხვა კოლეგებთან ერთად გვახსენებდნენ, რომ თურმე უკრაინიზაცია ყოფილა უკეთესი პერსპექტივის საშუალება და ა.შ.

რა თქმა უნდა, ისინი ცდილობენ, რომ ცხელი წერტილი იყოს საქართველოში. ასეთ შემთხვევაში ბალტიისპირეთი თავისუფლდება ამ როლისგან. ცხადია, ისინი თავიანთი ქვეყნის ინტერესებზე ზრუნავენ...

დიმიტრი ხუნდაძე

სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი რომ ჩაწერეს, არც „ე.წ". დაუწერიათ და არც არაფერი!

რატომღაც, ხდება ისე, რომ როდესაც უკრაინას, რაღაც სხვა საკითხებს ეხება საქმე, ყველა ჩვენგან ითხოვს, რომ საკუთარი თავის გადადების ფასადაც უნდა ვიყოთ რადიკალურები, რასაც ხშირად ვაკეთებთ და ეს რეზოლუციებში და შესაბამის ტექსტებში ჩვენი მხარდაჭერითაც აისახება ხოლმე. მაგრამ როდესაც საქმე ეხება საქართველოს ინტერესებს, ჩვენი ინტერესების გატარებას რეზოლუციაში, ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას და რუსეთისთვის ოკუპანტის დაძახებას ევროპის ოფიციალურ ტექსტებში, იქ რატომღაც ვიღაცები გამოჩნდებიან ხოლმე, რომლებიც ამას აიგნორებენ.

– კიდევ უარესს აკეთებენ, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი რომ ჩაწერეს, არც „ე.წ" დაუწერიათ და არც არაფერი – ასეთ ტექსტს მხარს ვერ დავუჭერდით, თვითონაც არ უნდა შეედგინათ ასეთი ტექსტი საერთოდ, ოდნავი კომპეტენცია რომ ჰქონოდათ... ამ შესწორების გარეშე ეს ტექსტი ნამდვილად ნორმალური იყო, შემდეგ შეიტანეს შესწორება, შეარბილეს რუსეთის ნაწილი და ცალკე, ყოველგვარი არასწორი ციტირებით შეიტანეს ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები. ამ ტექსტს, რა თქმა უნდა, ხელს ვერ მოვაწერდით და ვინც მოაწერა, იმასაც შეეშალა...

ბექა დავითულიანი.

მართლაც ნაცმაცუნა უდღეურები!

გიორგი გრძელიშვილი:

ფეხბურთი, რომელიც ყველასთვის გამაერთიანებელი უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ნაცებისთვის აღმოჩნდა თემა, რომელიც დაპირისპირებამდე უნდა დაეყვანათ

ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი გამოსვლა ჩვენ კი არა, მსოფლიოში არავის დარჩენია შეუმჩნეველი. ის ბედნიერება, რომელიც ამ ბიჭებმა გვაჩუქეს, კიდევ დიდხანს გაგვყვება, მაგრამ ფეხბურთი, რომელიც ყველასთვის გამაერთიანებელი უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ნაცებისთვის აღმოჩნდა თემა, რომელიც დაპირისპირებამდე უნდა დაეყვანათ, – ამის შესახებ „ქართული ოცნების" კომუნიკაციების სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი გრძელიშვილი სოციალურ ქსელში წერს.

...მსგავსი ერთ მუშტად შეკრული, ერთი მიზნისკენ მიმართული ნაკრები არ გვყოლია, თუმცა ნაცებმა მოახერხეს და კონკრეტულ ფეხბურთელებთან თავის გაიგივება, მათი საკუთარ „ხმად" გამოყვანა სცადეს და კამპანიები ააგორეს. ამის პარალელურად, ფეხბურთელები, რომელთა პოზიციაც მათთვის მიუღებლად ჩათვალეს, აითვალწუნეს და, რბილად რომ ვთქვათ, არაფრის გამო აკრიტიკეს.

ამ ხალხმა ხვიჩა კვარაცხელია, ჩვენი ნაკრების ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მოთამაშე მხოლოდ იმიტომ, ამოიჩემა, რომ მას „ქართული ოცნების" წევრები და მხარდამჭერები აქტიურად გულშემატკივრობენ. მათთვის ისიც კი აუტანელი აღმოჩნდა, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე რამდენჯერმე მის თამაშს ნეაპოლში დაესწრო, ამ ბიჭისგან კი, როგორც ყველა გულშემატკივარმა, მანაც მადლობა დაიმსახურა. აქვე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ვერავინ მაჩვენებს ერთ ფაქტსაც კი, როდესაც „ქართული ოცნების" რომელიმე წარმომადგენელმა ფეხბურთელების პოლიტიკაში ჩათრევა, ან რომელიმე მათგანის გამორჩევა, ვინმეს გაშავება ან საკუთარ სახედ არჩევა და მათი საშუალებით ქულების დაწერა სცადა! ამის საპასუხოდ, ნაცებმა კუმირად აირჩიეს ბუდუ ზივზივაძე, რომელიც გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში თამაშობს. ბუდუ რომ ამ ქვეყანაზე შეყვარებული, პოზიტიური ხასიათის ადამიანია და მოედანზე საკუთარი ნაკრებისთვის ყველაფერს დებს, ამას ახსნა არც სჭირდება. ამ კაცს ლუქსემბურგთან მოგებულ მატჩში გატანილი გოლებისთვის, მოედანზე გატარებული თითოეული

წუთისთვის და იმ თავდადებისთვის, რომელიც საქართველოს ნაკრების თამაშებში ჩანს, ყველა ქართველისგან მადლობა ეკუთვნის. მას წარმატებას და უმაღლეს დონეზე ასვლას, რომელიმე ტოპ ლიგაში და ჩემპიონთა ლიგაზე თამაშს ვუსურვებ, უბრალოდ, მინდა ყურადღება იმაზე გავამახვილო, როგორ მოქმედებენ უინტელექტო ნაცები.

ნაცებმა ბუდუს ნაკრებთან ერთად მშვიდად მომზადებაც კი არ აცადეს და მთელი ჩემპიონატის მანძილზე მისი სახელის პოლიტიზირებას ცდილობდნენ. ეს ყველაფერი არავის გაკვირვებია, რადგან ამ ადამიანებს მეორე ლიგის დონის ინტელექტი აქვთ. მგონია, ხვალ რომ ბუდუ რომელიმე ტოპ ლიგაში სათამაშოდ გადავიდეს, მასაც თავს მიანებებენ და ისევ მეორე-მესამე ლიგაში დაიწყებენ ისეთი ადამიანის მოძებნას, რომელსაც საკუთარ კერპად მის უკითხავად აქცევენ, უამრავ უხერხულობას შეუქმნიან, ისე, როგორც ბუდუსთან მიმართებაში იქცეოდნენ მთელი ტურნირის მანძილზე. ამის დაგვირგვინებას კი 2 ივლისის ფაქტი წარმოადგენს, როდესაც მთელი ქვეყანა ზეიმობდა, თუმცა, ნაცების ატეხილ ისტერიაზე ბუდუს და მის მამას განმარტებების გაკეთება მოუწიათ. უდიდესი მადლობა მთელ ნაკრებს, უკლებლივ ყველა ფეხბურთელს ხვიჩა კვარაცხელიადან დაწყებული ბუდუ ზივზივაძეთი დამთავრებული. ყველა ჩვენ გმირ ფეხბურთელს ვუსურვებ კარიერაში წინსვლას, და როგორც თითოეული ქართველის, ჩემი სურვილიც არის რომ ბუდუმაც, ხვიჩამაც, მამარდამაც, ქოჩორამაც და უკლებლივ ყველა ქართველმა ფეხბურთელმა ტოპ დონეზე ითამაშოს!

მადლობა ბიჭებს ამ თავდადებისთვის, ბრძოლისთვის და იმ სიხარულისთვის, რომელიც თითოეულ ქართველს მოგვანიჭეს და მჯერა, რომ ეს ევროპის ჩემპიონატი წარმატების გრძელი გზის მხოლოდ დასაწყისია!", – წერს გიორგი გრძელიშვილი.

* * *

ცნობისთვის: საქართველოს ეროვნული ნაკრების დახვედრის საზეიმო ღონისძიების შემდეგ, სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეოკადრები, თითქოს წამყვანი დიმა ობოლაძე სიტყვით გამოსვლის უფლებას არ აძლევს ქართველ ფეხბურთელს ბუდუ ზივზივაძეს.

მედიასთან ფეხბურთელმა განაცხადა, რომ მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

– სისულელეა და მაგ ადამიანს დაანებეთ თავი. თუ ვინმე რამე ცუდს ამბობს დიმაზე, ვფიქრობ რომ ბოდიში აქვთ მოსახდელი, იმიტომ რომ არანაირი მსგავსი ფაქტი არ ყოფილა", – განაცხადა ზივზივაძემ.

მანამდე კი ბუდუს მამამ „ფეისბუქში" დაწერა: ვკითხე ბუდუს და მისთვის არ უთქვამს ის სიტყვები დიმა ობოლაძეს... სამართლიანები ვიყოთ!!!

დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ, ამერიკა!

ირაკლი კობახიძე:

ჩვენ ვართ მოლოდინის რეჟიმში, ველოდებით შემხვედრ ნაბიჯებს.

მინდა მივულოცო ამერიკის შეერთებულ შტატებს, ამერიკელ ხალხს, ჩვენს ამერიკელ პარტნიორებს დამოუკიდებლობის დღე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს დღე ჩვენთვის, –ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებობის დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე ჟურნალისტებს განუცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, იყო რამდენიმე წელი, რამაც დააზიანა ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის და ქართული მხარის სურვილია, მოხდეს ურთიერთობების გადატვირთვა.

„მინდა მივულოცო ამერიკის შეერთებულ შტატებს, ამერიკელ ხალხს, ჩვენს ამერიკელ პარტნიორებს დამოუკიდებლობის დღე. ამერიკის შეერთებული შტატები ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს მსოფლიო მასშტაბით, აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ დღეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს დღე ჩვენთვის, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ გვაკავშირებს სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ ჩვენი სურვილია, მოხდეს ურთიერთობების გადატვირთვა. იყო რამდენიმე წელი, რამაც დააზიანა ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის, თუმცა მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ჩვენ ვართ მოლოდინის რეჟიმში, ველოდებით შემხვედრ ნაბიჯებს.

მე არ მინდა, კრიტიკული ვიყო, თუმცა ვფიქრობ, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში შესაძლებელია, ჩვენ ვიხილოთ ისეთი შემხვედრი ნაბიჯები ჩვენი პარტნიორების მხრიდან, რომელიც თვისებრივად გააჯანსაღებს ურთიერთობებს, რაც ასე სჭირდება ორივე ქვეყანას.მე ასე მჯერა.

ასეთი გზააბნეული ოპოზიცია ქვეყანას ჯერ არ ჰყოლია



შეასრულებს თუ არა ოპოზიცია ბრიუსელში დადებულ პირობას და ზუსტად სამ დღეში, 8 ივლისს ქართველი ამომრჩევლის წინაშე უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული წარსდგება, ვინ ვისთან ერთიანდება და ჯგუფდება. თუმცა ამ დღეების განმავლობაში ამისთვის მზადება ოპოზიიცის მხრიდან არ შეიმჩნევა. არ იკვეთება არანირი კონტურები იმის, რომ ისინი ერთ კვირაში რეალურად რამეზე ჩამოყალიბდებიან. არადა ბრიუსელში, ევროპული სახალხო პარტიის წინაშე დადებული პირობით, სულ მცირე 6-მა პარტიამ სამოქმედო გეგმა უნდა წარადგინოს, როგორ და რა კონფიგურაციით აპირებენ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას.

პარტია „ახალის“ ლიდერი ნიკა მელია ამბობს, რომ რამდენიმე პარტიამ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, შიდა კვლევები ჩაატარეს და აღმოჩნდა, რომ ამომრჩევლის დიდ ნაწილს ოპოზიციის გაერთიანება არ სურს. ამიტომ, დიდი ალბათობით, პარტიები ბრძოლას კვლავ ცალ-ცალკე გააგრძელებენ და საერთო სია არ იქნება.

მმართველ გუნდში კი ამბობენ, რომ ოპოზიციის ამ კონგლომერატს, რასაც ვუყურებთ, სინამდვილეში აქვს და ჰქონდა ყოველთვის და იღებს ფრანკენშტაინის ფორმას. ეს არის მათი პრობლემა, რომ როდესაც არა აქვთ იდეა და სხვადასხვა კონსტრუქციით ცდილობენ მიწებებას ერთმანეთთან სხვადასხვა ადამიანის, პარტიის და ა.შ. საბოლოო ჯამში, ყოველ ჯერზე პოლიტიკურ ფრანკენშტაინს იღებენ, რომელიც არის მონსტრი და არა აქვს არანაირი იდეა. ამიტომაც არის, რომ ყოველ ჯერზე მოსახლეობა ამას შესაბამის პასუხს სცემს.

* * *

ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე ამბობს, რომ ოპოზიცია უკვე ძალიან აგვიანებს და საკუთარ ამომრჩეველს გაურკვევლობაში ტოვებს. ძაბირაძე



ამბობს, რომ რაც უფრო გვიან ჩამოყალიბდება ოპოზიცია, მით უფრო პრობლემური იქნება ამომრჩევლის მაქსიმალური მოზიდვა. ეს კი ყველაზე მეტად წყალს „ოცნების“ წისქვილზე ასხამს.

„თუ არჩევნებზე ამომრჩეველი ცოტა რაოდენობით მოვიდა, ეს იქნება „ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობით გამარჯვების გარანტია. მისი ამომრჩეველი მივა, შესაბამისად, ის შეძლებს, რომ სრული უპირატესობით გაიმარჯვოს. ვფიქრობდი, რომ ოპოზიციაში, სადღაც მაისის ბოლოსთვის მაინც უნდა ყოფილიყო გარკვეული, ვინ ვისთან აპირებს დაჯგუფებას და ვის ურიგდება. უკვე ივლისი დაიწყო და არაფერი არა ჩანს. მე არა მაქვს იმედი და ამის არანაირი კონტურები არ იკვეთება, რომ ესენი ერთ კვირაში რაღაცაზე ჩამოყალიბდებიან. სექტემბერი უკვე ძალიან გვიან იქნება“, – ამბობს ძაბირაძე.

მისივე თქმით, ოპოზიციას დღეს გამწევი ძალა და ლიდერი არ ჰყავს. ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი არ არის ის ფიგურა, ვის გარშემოც ოპოზიცია გაერთიანდება.

„ქართველი საზოგადოება მიჩვეულია სრულიად სხვა ქარიზმატულ ლიდერებს. ზურაბიშვილი მხოლოდ დასავლეთისკენ ორიენტირია. პროევროპულობის გამომხატველია და უფრო იდეური და საგარეო ორიენტირია, ვიდრე არჩევნებში უშუალოდ მონაწილე ლიდერი, როგორიც იყო გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი, ივანიშვილი. ამ ტიპის ლიდერები, ამ ეტაპზე, ოპოზიციას არ ჰაყვს. ზურაბიშვილი ვერ იქნება მათნაირი ლიდერი. ამიტომ საჭიროა, რომ ამომრჩეველი ოპოზიციამ არჩევნებზე მაქსიმალურად მიიყვანოს. მათი ჩამოუყალიბებლობა დროში პროცესის გაწელვა, ოპოზიციას აზიანებს. ამომრჩეველს ვეღარ დაარწმუნებენ, რომ ქვეყანაში ვითარებას შეცვლიან“, – ამბობს ძაბირაძე.

მისივე თქმით, არ ჩანს ოპოზიციაში ისეთი მოძრაობა, რომ 8 ივლისს რაღაცა მოულოდნელი შემოგვთავაზონ. ანალიტიკოსი ამბობს, რომ აქაც ერთი რამ არის მნიშვნელოვანი, რომ „ოცნების“ ამორჩეველს არაფერში სჭირდება გარკვევა. ის ჩამოყალიბებულია და არჩევნებზე მივა.

იგივე ეხება „ნაცმოძრაობის“ ამომრჩეველსაც, მიუხედავად იმისა, რა გადაადგილება ხდება პარტიაში და რა სახის კრიზისი აქვთ. რაც შეეხება ე.წ. შუაშისტურ ამომრჩეველს, რომელმაც საბოლოო ჯამში უნდა გადაწყვიტოს, ხელისუფლებაში ვინ დარჩება და ვინ წავა, ეს ამომრჩეველია ჩამოუყალიბებელი. როცა ვსაუბრობთ, რომ ეს გაურკვევლობა ხელისუფლებაში წისქვილზე ასხამს წყალს, „ოცნებას“ ამით ამომრჩეველი კი არ მოემატება, არამედ ოპოზიციას დააკლდება. ეს შუაშისტური ამომრჩეველი, რომელიც დღეს არ არის ჩამოყალიბებული, ისევ ჩამოუყალიბებელი დარჩება და არჩევნებზე არ წავა. ესაა პრობლემა, რომ ოპოზიცია ამ ხალხს ვერ არწმუნებს ხმა რატომ უნდა მისცენ, – ამბობს ძაბირაძე.

რაც შეეხება ოპოზიციის სტრატეგიულად ასეთ დაბნეულობას, ძაბირაძე ამბობს, რომ ამის მიზეზი ოპოზიციის სიფრთხილე და ამბიციების სიჭარბეა. ყველას პირველობა და ლიდერობა უნდა, რაც გაერთიანების შემთხვევაში არ გამოდის. ამიტომ პირადი ამბიციების გამო არ ყალიბდებიან ბოლომდე, რა უნდათ, რაც ყველაზე მეტად მათ აზიანებს და ოპოზიციურ ამომრჩეველში დიდ სკეპტიციზმს აჩენს.

* * *

ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე ოპოზიციის გაურკვევლობას „მწვრთნელის“ არყოლას აბრალებს. ანალიტიკოსი ფორრ.გე-სთან

ამბობს, რომ ასეთი გზააბნეული და დეკლარაციებში დაკარგული ოპოზიცია ქვეყანას ჯერ არ ჰყოლია. არც საყვარელიძე ელის, რომ 8 ივლისს ოპოზიცია რაიმე ხელშესახებს შესთავაზებს ამომრჩეველს და ფიქრობს, რომ არსებული სურათი არ შეიცვლება.

ჩვენს ოპოზიციაში ყველა თავის მხარეს ეწევა ზეწარს და პირველობა სურთ. მათ ჯერ კიდევ ვერ მონახეს ფორმულა, რითაც „ოცნებას“ კონკურენციას გაუწევენ. აჩემებული აქვთ, რომ „ოცნებას“ იმიტომ ვერ ამარცხებენ, რადგან ბიძინა ივანიშვილს ფული აქვს. არადა იმას არ აღიარებენ, რომ მთავარი პრობლემა მათშია. მოსახლეობას ოპოზიციის მიუღებლობა და უნდობლობა აქვს. არსებობს საზოგადოების რაღაც ნაწილში პროტესტი ხელისუფლების მიმართ, უკმაყოფილება, მაგრამ ოპოზიცია ვერ არწმუნებს მათაც კი, რომ ხელისუფლების სადავეებს თუ გადასცემენ, „ოცნებაზე“ უკეთესად გაუძღვებიან. ერთი ის აქვთ აკვიატებული, რომ ვითომ ხელისუფლება საგარეო კურსს ცვლის. რუსეთისკენ მიდის და ა.შ.

ვხედავთ, რომ დასავლეთიდან ამაზე კვერსაც უკრავენ. „ოცნება“ ბოლო დროს, როგორ წნეხში ჰყავთ მოქცეული, მაგრამ ხალხში ამას მაინც არა აქვს მნიშვნელობა. ის რომ დასავლეთს უნდა ოპოზიციის მოყვანა ხელისუფლებაში, ხალხისთვის არ არის დამაკმაყოფილებელი. ჩვენს მოსახლეობას უნდა მეტი სიცხადე და არ სურს ამუამინდელი ოპოზიციური ლიდერების ხელისუფლებაში მოსვლა. ამ ხალხის უმეტესობა მათ ნანახი ჰყავთ და რა დღეშიც ჩააგდეს ხალხი და ქვეყანა, ვიცით უკვე. ამიტომ ჩვენს მოსახლეობას თუ ოპოზიცია არ აჩვენებს, კონკრეტულად რას აპირებს, ვინ იქნება ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი ქვეყნის მართვაზე, მათ სადავეებს არ გადასცემენ. მარტო დასავლეთის იმედზე ყოფნა კი არ უშველით“, – დასძენს რამაზ საყვარელიძე

მოამზადა

ლიკა ბერიკაშვილმა

რობინ დანიგანი:

აშშ-ს საქართველოსთვის მხოლოდ მშვიდობა და დამოუკიდებლობა სურს!

შეერთებულ შტატებს საქართველოსთვის მხოლოდ მშვიდობა, კეთილდღეობა და დამოუკიდებლობა სურს. ჩვენ გავაგრძელებთ თითოეულ ქართველთან თანამშრომლობას, რათა მხარი დავუჭიროთ ღია და წარმატებულ საქართველოს, რომელსაც აქვს უნარი, დაიცვას საკუთარი თავი, – ამის შესახებ აშშ-ის ელჩმა რობინ დანიგანმა ამერიკის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა და გორის გოგონათა გუნდს ეროვნული ჰიმნების შესრულებისთვის მადლობა გადაუხადა.

ამასთან, რობინ დანიგანმა საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებს, ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს მიულოცა ევროპის ჩემპიონატში ისტორიული ასპარეზობა.

„დამოუკიდებლობის დღეს ამერიკელები ერთად აღვნიშნავთ ჩვენს თავისუფლებას. ეს არის დღე, როდესაც ვფიქრდებით ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის გაღებულ უზარმაზარ მსხვერპლზე და ეს არის დღე, როდესაც გვახსოვს, რომ თავისუფლებას დიდი ფასი აქვს. თუმცა, ამავდროულად ეს არის ზეიმის, ოპტიმიზმისა და სიხარულის დღე. ამიტომ, მსურს, ამ საღამოს ზეიმი დავიწყოთ იმით, რომ მივულოცო გუნდს, რომელმაც მთელს საქართველოს და ყველას, ვისაც საქართველო გვიყვარს, დიდი სიხარული და ოპტიმიზმი მოგვიტანა – ვულოცავ ფეხბურთის ეროვნულ ნაკრებს და საქართველოს ყველა მოქალაქეს ევროპის ჩემპიონატში ისტორიულ ასპარეზობას.

მისივე თქმით, ქართველ ხალხსაც დამოუკიდებლობისთვის და საერთო ოცნებისკენ სწრაფვის ხანგრძლივი ისტორია აქვს.

„ოცნების, რომ ერთ დღეს მათი შვილები უფრო სრულყოფილ სამყაროში იცხოვრებენ. 106 წლის წინ ქართველი ხალხი გაერთიანდა ახალი დამოუკიდებელი ქვეყნის შესაქმნელად. იმ დანაპირებით, რომ საქართველოს ექნებოდა სუვერენული ძალაუფლება და უზრუნველყოფდა თავისი მოქალაქეების სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს. მაგრამ საქართველოს გზა, ისევე როგორც ამერიკის გზა, ადვილი არ ყოფილა. ამერიკელების მსგავსად, ქართველებსაც მუდმივი ძალისხმევის გაღება უწევდათ დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.

ჩვენ დიდად ვაფასებთ იმ ქართველებს, ვინც 1978 წელს ქართული ენა და ეროვნული იდენტობა დაკარგვას გადაარჩინა, ჩვენ დიდად ვაფასებთ ათასობით ქართველს, ვინც 1989 წლის აპრილში უშიშრად შეიკრიბა და მშვიდობიანი დემონსტრაციით, ხელიხელჩაკიდებულმა, საბჭოთა ტანკებისა და იარაღის პირისპირ მდგომმა, მოითხოვა დამოუკიდებლობა. ჩვენ დიდად ვაფასებთ ქართველ ხალხს და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც 2008 წელს სიმამაცით იბრძოდნენ საქართველოს სუვერენიტეტის დასაცავად რუსეთის შემოჭრის წინააღმდეგ. დღეს, მსოფლიოს მრავალ ადგილას ვხედავთ ადამიანებს, ვისაც დემოკრატია აშინებს – ვხედავთ მათ, ვინც ნერგავს შიშს, პროგრესის შთაგონების ნაცვლად და მათ, ვინც მშვიდობიან თანაცხოვრებას ძალის გამოყენებას ამჯობინებს. მაგრამ მე მჯერა, რომ დემოკრატია გაიმარჯვებს. და რომ, როგორც დემოკრატებს, შეგვიძლია, მივაღწიოთ წარმატებას და შევქმნათ უკეთესი ქვეყანა მომავალი თაობებისთვის“, – განაცხადა აშშ-ის ელჩმა.

ამასთან, როგორც რობინ დანიგანმა აღნიშნა, აშშ მხარს დაუჭერს საქართველოს განათლების სისტემას და ეკონომიკურ ზრდას, ასევე საქართველოს მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას და აქტიურ სამოქალაქო საზოგადოებას.

აშშ-ის საელჩოში დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე.

მოსკოვი ფრონტის გაფართოებას თუ შეეცდება, უკრაინას უფრო დიდ მანძილზე დარტყმის უფლება მიეცემა!

მოსკოვი თუ ფრონტის გაფართოებას შეეცდება, უკრაინას უფრო დიდ მანძილზე დარტყმის უფლება მიეცემა, – ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ჯეიმს ო'ბრაიენმა განაცხადა.

კონგრესის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში მოსმენისას რესპუბლიკელმა კონგრესმენმა თომას კინმა ო'ბრაიენს კითხვა დაუსვა, თუ რამდენი რუსული საჰაერო ბაზაა იმ ტერიტორიებზე, რომლებზე დარტყმაშიც უკრაინას აშშ-ის ადმინისტრაცია ხელს უშლის.

„მოსკოვი თუ ფრონტის გაფართოებას შეეცდება, უკრაინას უფრო დიდ მანძილზე დარტყმის უფლება მიეცემა“, – განაცხადა შეკითხვის საპასუხოდ ჯეიმს ო'ბრაიენმა.

ამასთან, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ აღნიშნა, რომ კიევის მიერ საზღვართან რუსული შესაძლებლობების განადგურებით მოსკოვი თავდასხმის უნარს კარგავს. მისივე თქმით, აშშ-ის პრიორიტეტი იყო იარაღის მიწოდება და მათი განლაგება „გადაუდებელი საჭიროების ადგილებში“.

ო'ბრაიენის განცხადებით, თავიდან ეს იყო ტერიტორია, სადაც რუსეთი ხარკოვის მახლობლად შეტევას ახორციელებდა.

პაატა ცაგარეიშვილი:

2030 წლისთვის საქართველოს ნავსადგურებში თავს მოიყრის გაზრდილი ტვირთნაკადი,

რომლის ათვისებაც აუცილებელია, განხორციელდეს საქართველოში დაარსებული საზღვაო ფლოტის და ქართული დროშით მცურავი გემების საშუალებით

როგორ იყენებს საქართველო თავის საზღვაო შესაძლებლობებს, ასევე იმაზე, თუ როგორ უნდა გამოიყენოს საქართველომ საზღვაო ქვეყნისთვის ბუნებრივად მინიჭებული უპირატესობა, „ინტერპრესნიუსი“ სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრის დირექტორს, **პაატა ცაგარეიშვილს** ესაუბრა.

– ბატონო პაატა, მოდით საუბარი იმით დავიწყოთ, დღეს რეალურად რა არის საჭირო რომ ქვეყანამ აღიდგინოს საზღვაო პრესტიჟი და მისი დროშა გახდეს მიმზიდველი საზღვაო ქვეყნების თანამეგობრობაში?

– პირველ რიგში, მადლობა მინდა გითხრათ ამ საკითხით დაინტერესებისათვის. მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევებით დასტურდება, რომ საქართველოზე გამავალი დერეფნით, 2030 წლისათვის გათვალისწინებულია ტვირთნაკადების საფეხურებრივი ზრდა.

ამას ემატება, მეზობელი ქვეყნების მიერ საზღვაო სფეროში, როგორც საკუთარი, ფლოტის რიცხოვნობის ასევე საზღვაო ინფრასტრუქტურის სიმძლავრეების გაზრდის ღონისძიებები – საქართველო, შავი ზღვის არეალში, როგორც ტვითნაკადების შემკრებგამანაწილებელი ქვეყანა, ამ პროცესის მიღმა ვერ აღმოჩნდება.

მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევებით დასტურდება, რომ საქართველოზე გამავალი დერეფნით, 2030 წლისათვის გათვალისწინებულია ტვირთნაკადების საფეხურებრივი ზრდა.

ქვეყნისთვის ამ მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას ესაჭიროება საზღვაო დარგის სისტემური განვითარება.

– მეზღვაურთა დღესასწაულზე ამდენი მეზღვაურის ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდის ხილვა სასიხარულოა, მაგრამ, ფაქტია, რომ მათ იმის გამო ვერ ვიყენებთ ჩვენ საკუთარი გემები არ გვყავს. რა გამოდის – რადგან გემები არ გვყავს, ამდენ კვალიფიციურ მეზღვაურს ვის ვუმზადებთ?

– აბსოლუტურად მართებულად შენიშნეთ, როდესაც ქართველი მეზღვაურების ატრიბუტიკაზე გაამახვილეთ ყურადღება.

მეტიც, ისეთი საზღვაო ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, რომელიც ოდითგანვე ფლობდა საზღვაო დროშას, გააჩნია სახელმწიფო საზღვაო მარეგულირებელი ორგანო, ახორციელებს დროშის სახელმწიფო კონტროლს, გააჩნია ნავსადგურები, სამაშველო საკოორდინაციო ცენტრი, ჰიდროგრაფიული სამსახური, სასწავლო ცენტრები, პერსონალი, პარალელურად წარმოადგენს - ნავსადურის სახელმწიფო კონტროლის შავი ზღვის მემორანდუმის მხარეს და მეზღვაურთა დასაქმების კუთხით გაფორმებული აქვს 70-ზე მეტ სახელმწიფოსთან მემორანდუმი, რატომ ვერ სარგებლობს საზღვაო ქვეყანა ყველა ამ პრიორიტეტებით?

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრი 1999 წლიდან ითვლება ღია რეესტრად, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერ, თუნდაც, უცხო ქვეყნის გემთფლობელს მცირე დანახარჯების შედეგად, შეუძლია მიიღოს დაბალი საშემოსავლო და სარეგისტრაციო მოსაკრებელი, ქართული დროშა, მათთვის არ არის მიმზიდველი.

როგორც შედეგი, ბოლო 10 წელიწადში საქართველოს დროშით დარეგისტრირებულია, საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული, მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის 30 ერთეული მცურავი საშუალება. ფაქტიურად, საქართველოში არ არის რეგისტრირებული არც ერთი გემთფლობელი, რომელიც ფლობს მსხვილტონაჟიან საერთაშორისო რეისების განმახორციელებელ გემებს.

თვალნათლივი და პარადოქსულიცაა სტატისტიკა. კერძოდ, საქართველოს ნავსადგურებში, დროშის კუთვნილების მიხედვით შემოსულ გემებს შორის 2023 წელს, ქართული დროშით არც ერთი გემი არ დაფიქსირებულა, როდესაც თურქეთის დროშით – 285, რუსეთის 74 გემთშემოსვლა განხორციელდა.

– კარგია, რომ პროფესიონალ მეზღვაურებს ვამზადებთ, მაგრამ, რადგან ჩვენ ჩვენი გემები არ გვყავს, გამოდის სხვა ქვეყნების საზღვაო სამსახურებს ვუმზადებთ მეზღვაურებს?

– გამომდინარე იქიდან, რომ, ამ ეტაპზე ქართული დროშა, მსოფლიო ნაოსნობაში, არ წარმოადგენს მოთხოვნად დროშას. არადა, სახელმწიფოთა უმრავლესობა, საკუთარი დროშის მინიჭებისას, ერთ - ერთ წინაპირობად, 50% საკუთარი ქვეყნის ეკიპაჟის უცხოეთის გემებზე დასაქმების მოთხოვნას უყენებს. საქართველო დარეგისტრირებული გემების სიმცირის გამო, მოკლებულია შესაძლებლობას უცხოელი გემთფლობელების მიმართ, ქართველი მეზღვაურების დასაქმების პირობის მოთხოვნა დააყენოს.

შესაბამისად საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ბაზაში დარეგისტრირებული მეზღვაურების მხოლოდ მესამედია დასაქმებული სხვადასხვა, ძირითადად უცხოური დროშით მცურავ გემებზე, ხოლო ქართული დროშით მცურავ გემებზე მათი რაოდენობა უმნიშვნელოა.

– რატომ არ კეთდება ის, რაზეც ჩვენ ვამახვილებთ ყურადღებას? არც კი მინდა დავიჯერო, რომ ხელისუფლებამ არ იცის, რომ ეს აუცილებლად გასაკეთებელი საქმეა.

მაგრამ, რადგან არ კეთდება, თქვენი აზრით, რატომ არ იდგმება ის ნაბიჯები, რაც საჭიროა?

– მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში, საზღვაო სფეროში, ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაციის კუთხით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული, დამტკიცებულია სტრატეგიის დოკუმენტი „საქართველოს 2023 – 2030 წწ ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის სტრატეგია“. ამ დოკუმენტით გაურკვეველია, ამ მნიშვნელოვანი საზღვაო სფეროს განვითარების პრიორიტეტები და განხორციელების გზები.

სტრატეგიულ დოკუმენტში მხოლოდ „ფარატინა“ მოკლე ჩანაწერი აღირიცხება – „მნიშვნელოვანია საქართველოს დროშის განვითარების ხელშეწყობა და გემთმფლობელების მოზიდვა საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში დასარეგისტრირებლად. ქართული დროშით გემთფლობელების მოზიდვა გრძელვადიანი გეგმაა და საჭიროებს წამახალისებელი ღონისძიებების განხორციელებას“.

როდესაც საზღვაო სფეროში სტრატეგიულ დოკუმენტზეა საუბარი, უპირველეს ყოვლისა, ზუსტად უნდა იქნეს შემოთავაზებული, ფლოტის შექმასთან და განვითარებასთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკა.

სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს, სანაოსნოს შექმნას სრულად სახელმწიფო სახსრებით ან ბანკების – ფონდების მოდელით, ანდაც შერეული მოდელის გამოყენებით. მაგრამ, ამოსავალი პოსტულატები თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს საზღვაო დარგი – ქვეყნის სატრანსპორტო სტრატეგიაში უნდა იქნეს ასახული.

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ არ უნდა მისცეს უპირატესობა სახელმწიფო სახსრებით სახელმწიფო კომპანიის მოდელის ჩამოყალიბებას. რადგანაც თუ გავაანალიზებთ საზღვაო სფეროში ყაზახეთის და აზერბაიჯანის მიდგომებს იქ, საქართველოსაგან განსხვავებით რადიკალურად სხვა რეალობაა.

ყაზახეთსა და აზერბაიჯანში გემებს ყიდულობს არა სახელმწიფო, არამედ საკუთარი შემოსავლების ხარჯზე, ფინანსურად ძლიერი ესა თუ ის სახელმწიფო კომპანია, სადაც სესხის უზრუნველყოფა ძირითადად ხდება საკუთარი ენერგომატარებლების ტრანსპორტირების ხარჯზე.

– თქვენ გაკვრით შეეხეთ მეზობელი ყაზახეთის და აზერბაიჯანის საზღვაო სფეროს ფუნქციონირებას, ორიოდე სიტყვით გვითხრათ, რა ნაბიჯები იდგმება ამ ქვეყნებში საკუთარი საზღვაო დარგის განსავითარებლად?

– თვალნათელია ყაზახეთის მაგალითი, რომელმაც 1997 წლიდან დაიწყო საკუთარი საზღვაო ფლოტის განვითარება. ყაზახეთი, კასპიის ზღვის გარდა, შავ და ხმელთაშუა ზღვებზე გეგმაზომიერად ზრდის გადაზიდვების მოცულობებს. ბოლო 10 წელიწადში თითქმის ხუთჯერ გაზარდა გადაზიდვის მოცულობები.

ყაზახეთის სახელმწიფო სანაოსნო კომპანია „კაზმორტრანსფლოტმა“ 2023 წელს საკუთარი საზღვაო ფლოტით შავ და ხმელთაშუა ზღვების არელში 9 მლნ. ტონა ტვირთი გადაზიდა, რითაც დასტურდება მიდგომა, რომ ყაზახეთი უპირატესობას შავ და ხმელთაშუა ზღვებზე გადაზიდვებს ანიჭებს.

ახალ რეალობაში, სწრაფად ადაპტირების მიზნით, 2023 წელს ყაზახეთმა, კასპიის ზღვაზე ნავთობის გადაზიდვების მოცულობების გასაზრდელად შეიძინა **Caspimax**-ის „ზღვა – მდინარის“ ტიპის ორი ერთეული 8 ათ. ტონის ტვირთამწეობის ტანკერი. გარდა ამისა, გარანტირებული ტვირთნაკადის პირობებში, აქტაუს – ბაქოს მონაკვეთზე ნავთობის მზარდი მოცულობების გადმოსაზიდად, ყაზახეთს, უახლოეს სამ წელიწადში დაგეგმილი აქვს, დამატებით **Caspimax**-ის ტიპის 3 ტანკერის აშენება.

გარდა ამისა, ყაზახეთის საკუთრებაშია ორი ერთეული **Aframax** ტიპის – 115 ათ. ტონა ტვირთამწეობის ტანკერი, რომლითაც ხორციელდება ყაზახეთის საექსპორტო ნავთობის გადაზიდვა ნოვოროსიისკის ტერმინალიდან რუმინეთში კონსტანცის ნავსადგურამდე, სადაც განლაგებულია, КазМумайГаз ის კუთვნილი რომპეტროლის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. ერთობლიობაში, ყაზახეთი ვარაუდობს 2030 წლისათვის 10 ნავთობის ბარჟის, 8 ბორნის და 6 ტანკერის და კონტეიერმზიდის ექსპლუატაციაში გაშვებას.

საგულისხმოა, რომ ყაზახური მხარის მიერ დაანონსებული პროექტები საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოდ, რომ 2030 წლისათვის საქართველოს ნავსადგურებში თავს მოიყრის გაზრდილი ტვირთნაკადი, რომლის ათვისებაც აუცილებელია, განხორციელდეს საქართველოში დაარსებული საზღვაო ფლოტის და ქართული დროშით მცურავი გემების საშუალებით, რისთვისაც, ამ პერიოდისათვის აუცილებელი იქნება ქართულმა მხარემ სინქრონიზებულად განავითაროს, როგორც სანავსადგურე ინფრასტრუქტურა, ასევე სანაოსნო ფლოტი.

– თქვენ თქვენს სტატიაში არა მხოლოდ ყურადღებას ამახვილებთ პრობლემებზე, არამედ, ამ თემებთან დაკავშირებით მოვლენათა განვითარების ვარიანტებსაც განიხილავთ.

დაგვავალებთ, თუ თქვენს მოსაზრებებს ჩვენ მკითხველებსაც გაუზიარებთ...

– თქვენ სამართლიანად შენიშნეთ, რომ მნიშვნელოვანია გამოსავლის გზების ძიება. ბუნებრივია, ყაზახეთსა და აზერბაიჯანში აპრობირებული მიდგომები საქართველოში ვერ გამოდგება, აქცენტი კერძო სანაოსნო კომპანიების შექმნისკენ უნდა იქნეს აღებული, მაგრამ აქ ისმის ლოგიკური კითხვა, როგორია ფინანსური ნაკადების მოზიდვასთან დაკავშირებით ქართული ბიზნესის სწრაფვა.

– რამდენად მზად არის ბიზნეს სექტორი (ქართული ან უცხოური კაპიტალი), შეიძინოს გემები და ჩაერთოს მსოფლიო საფრახტო ბაზარზე ან თუნდაც საქართველოს ნავსადგურების გამოყენებით შავი ზღვის გადაზიდვების არეალში?

– მთავარ პრობლემას ბიზნესის მხრიდან, ნაოსნობის პრინციპების მექანიზმის რეალური აღქმა წარმოადგენს, რაც მჭიდრო კავშირშია

ყაზახეთის საკუთრებაშია ორი ერთეული Aframax ტიპის — 115 ათ. ტონა ტვირთამწეობის ტანკერი,

ნაოსნობის ფინანსურ პოლიტიკასთან.

უფრო კონკრეტულად, სადღეისოდ, მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, დიდ და ახალ გემებს საბანკო კრედიტებით ან სახვადასხვა ფონდების საშუალებებით ყიდულობენ, ბუნებრივია, სესხის გაცემისას ბანკებს გააჩნიათ საკუთარი მოთხოვნები, პირველ რიგში, გემის რეგისტრაციის ქვეყანაში კრედიტის დაცულობა, ამის შემდგომ, მნიშვნელოვანია, საზღვაო ხელისუფლების მუშაობის ხარისხი და ამ სახის გიზნესისათვის მორგებული კანონმდებლობა.

ანაკლიის ნავსადგურის და ანაკლია სიტის მშენებლობის შემთხვევაში, საქართველოში გათვალისწინებული იყო საზღვაო სფეროში ინგლისური სამართლის შემოსვლა და დამკვიდრება, რაც უდუსესი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, ფაქტობრივად, ანაკლიის პროექტის შეჩერებით საქართველომ ხელიდან გაუშვა ინგლისური საზღვაო სამართლის ჩვენ ქვეყანაში დამკვიდრების შესაძლებლობა. ანაკლიის პროექტის ტორპედირებით საქართველოში სხვა რეალობაა.

დღევანდელ პირობებში, როცა საზღვაო სფეროში სტაგნაციაა, საქართველოში, ქართველი ან უცხოელი კაპიტალით, რეგისტრირებული სანაოსნო კომპნიის მიმართ, საბანკო სექტორის უპირველეს მოთხოვნას, საკანონმდებლო დონეზე კრედიტის დაცულობა და უზრუნველყოფა წარმოადგენს.

დამატებით მოთხოვნით, ზუსტად უნდა იქნეს გაწერილი, კონკრეტული მიმართულებით რომელი ტვირთების გადაზიდვით იქნება დაკავებული სანაოსნო კომპანია. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ახალ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, საქართველოში გარანტირებული ტვირთნაკადების ჩასახვის რეალური წინაპირობა არსებობს.

– რა ვარიანტები იკვეთება საკუთარი საზღვაო ფლოტის განვითარების თვალსაზრისით?

– ამ თვალსაზრისით იკვეთება ორი ვარიანტი:

ვარიანტი პირველი: მსოფლიო საფრახტო ბაზარზე მუშაობა, რომელიც სტაგნაციის ფაზაშია და განიცდის მძლავრ შიდა კონკურენციას;

ვარიანტი მეორე: სანაოსნო ხაზის შექმნა და კონკრეტულ რეგიონთან, კონკრეტული ტვირთით გადაზიდვების უზრუნველყოფა,

პირველი ვარიანტის შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს უცხო დამფრახტველების ტვირთებთან, მსოფლიო საფრახტო ბაზარზე მუშაობა რეგლამენტირებულია და კონტროლდება, ამ თვალსაზრისით სირთულეს წარმოადგენს ასეთ ბაზრებზე შეღწევა.

გარდა ჩვეულებრივი კონკურენციისა, არსებობს მენეჯმენტის მიმართ მოთხოვნები, კერძოდ, კომპანიას, მენეჯერს და გემს უნდა გააჩნდეთ **IMO**-ს მიერ დადგენილი ნაოსნობის უსაფრთხოების მართვის ხარისხის სისტემა და უსაფრთხოების მართვის საერთაშორისო კოდექსი.

ბუნებრივია, ასეთი სისტემის შექმნას ესაჭიროება დრო, ადამიანური რესურსები და დამატებითი ფინანსური სახსრები, ასეთი აღიარების გარეშე გემს არავინ არ დაფრახტავს. მხოლოდ აღნიშნული პროცედურების გავლის და აღიარების შემდგომ შესაძლებელია, გემი გავიდეს საფრახტო ბაზარზე. პირველი ვარიანტის განხორციელება უდავოდ სირთულეს წარმოადგენს.

მეორე ვარიანტის შემთხვევაში, თუ წინასწარ არის განსაზღვრული ახალი სანაოსნო ხაზის შექმნა და ამასთან რეგლამენტირებულია კონკრეტული ნავსადგურები და ტვირთის სახეობა, ამასთან დანერგილია უსაფრთხოების მართვის საერთაშორისო კოდექსი, სათანადო გათვლების საფუძველზე საბანკო სექტორიდან შესაძლებელი, სესხის მიღება და გემის შეძენა.

სადღეისოდ მეორე ვარიანტი, მეტად მორგებულია ქართული რეალობისათვის, სადაც მუდმივად ფუნქციონირებს საბორნე ხაზები და რეგულარული საკონტეინერო ხაზები, როგორიცაა ფოთი-სტამბული ან ფოთი-კონსტანცა.

საზღვაო სფეროში საბანკო სექტორიდან ფინანსების მოზიდვა უნდა განხორციელდეს სახელმწიოფოს მხრიდან მინიმალური ჩარევით, ყველანაირი სახელმწიფო საფინანსო გარანტიების გამორიცხვით.

სახელმწიფოს ჩარევა უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე, საგადასახადო პრეფერენციების მინიჭებით და პოლიტიკურ დონეზე მხარდაჭერით.

ესაუბრა
კობა ბენდელიანი

მოდი და ნუ გაბრაზდები!!!

ისევე, როგორც ხელის თუ ფეხის თითები განსხვავდებიან ერთმანეთისგან ზომით, მოქნილობით და მოხმარების თავისებურებებით, ისე ცალკეულ ადამიანთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე საკვები და ცხოვრებისეული მოთხოვნებია სხვადასხვა, ზოგჯერ, სულაც საპირისპიროც კი.

ამ საყოველთაოდ ცნობილი პოსტულატიდან გამომდინარე, ტერმინი „ყოველთვიური საარსებო მინიმუმი“, რომელსაც სტატისტიკის სამსახური გარკვეული პერიოდულობით გვაწვდის ხოლმე (თუმცა კი მაინცდამაინც დიდ აფიშირებასაც არ ეწევა!), ცოტა არ იყოს, უნდობლობასაც იწვევს და ნაძალადევ ღიმილთან ერთად ხშირად სიბრაზის გრძნობასაც აჩენს. ეს იმიტომ, რომ რეალურ ცხოვრებაში მისი გამომყენებელი, „კათარზისის“ სასადილოებისა და მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრების გარდა არავინ გვეგულება.

ამას იმიტომ ვამბობთ, რომ საარსებო მინიმუმის შემცველი კალათა გათვლილია ზრდასრული ადამიანისთვის, ფიზიკურად სხვაზე უფრო ძლიერი და საკვების მეტად მომხმარებელი, ასევე, საშუალო ასაკის მამაკაცზე. ამ ლოგიკით თუ ვიხელმძღვანელებთ ასეთ „გასაშუალებულ კაცზე“ ნაკლები სურსათი – თანაც მხოლოდ საარსებოდ აუცილებელი მინიმუმით! – დასჭირდება როგორც უფრო ახალგაზრდა ან ხანდაზმულ მამაკაცს, ისე ქალსაც და მით უმეტეს მოზარდს თუ ბავშვს(?!).

ეს ჩვენში საარსებო მინიმუმის დადგენის მიღებული მეთოდიკის, ასე ვთქვათ, „თვალშისაცემი „ მთლად შავი ლაქები თუ არა, ყოველ შემთხვევაში, შესამჩნევი „კოპლებია“.

ახლა რაც შეეხება თავად საარსებო მინიმუმის სასაქონლო კალათის შიგთავსსა და პროდუქტების მინიმუმის სიდიდეს. თავდაპირველად, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ის მეთოდიკა, რომლითაც სპეციალისტები მის ღირებულებას ადგენენ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში შემუშავდა და, დღევანდელი კი არა და გუშინდელი გადასახედიდანაც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, შესამჩნევად გაიზარდა როგორც მოსახლეობის საშუალო შემოსავალი, ასევე მასთან ერთად, მოხმარებული სურსათის სტრუქტურაც, რაც არც მინიმუმის კალათის შიგთავსის ჩამონათვალში, არც მოსახმარებელი სურსათის ოდენობაში არ აისახება.

საქართველოში უკიდურესი დაპირისპირების პირობებში, სახელისუფლებო ძალების პერმანენტული ცვლილებების ორომტრიალში, ყველა წინა ხელისუფლების მლანძღავი ახალი მმართველი ძალა იმის პირობას იძლევა, რომ მოსახლეობის ყოველდღიურ სოციალურ ყოფაზე ზრუნვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი აუცილებლად იქნება საარსებო მინიმუმის კალათის როგორც შიგთავსის ეფექტიანი რევიზია, ასევე მისი ღირებულების გამოთვლის ახალი მექანიზმის შემუშავება. მაგრამ ამ მხრივ არათუ ძვრა არ გვინახავს, მცდელობის შესახებაც არაფერი გვსმენია.

ახლა კი შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ყოველთვიური საარსებო მინიმუმის სასურსათო კალათის შიგთავსი აუცილებელი პროდუქტების ოდენობასთან (გრამებში) ერთად, ასეთია: **ხორბლის პური 250; ხორბლის ფქვილი – 70; სიმინდის ფქვილი – 40; ლობიო – 20; ბრინჯი – 10; ბურღული (წიწიბურის, მანანის, სხვ.) – 10; მაკარონის ნაწარმი – 15; ძროხის და ხბოს ხორცი – 40; ღორის ხორცი – 10; შინაური ფრინველი – 20; თევზი (ნედლი, გაყინული) – 40; ძეხვეული – 10; რძე – 150; მაწონი – 25; ხაჯო – 15; ყველი – 20; ნადუღი – 5; კვერცხი (0,5 ცალი დღეში) – 24; ცხოველური ცხიმი (კარაქი, ერბო) – 12; მარგარინი – 7; ზეთი მცენარეული – 10; თესლოვანი ხილი – 50; კურკოვანი ხილი – 50; სუბტროპიკული ხილი, პარალიოპი – 50; გოგრა, ნესვი, საზამთრო – 50; მზესუმზირა, თხილი, ნიგოზი – 15; პამიდორი – 50; ხახვი – 25; ნიორი – 7; ბადრიჯანი – 10; კომბოსტო – 40; ჭარხალი – 15; სტაფილო – 15; კარტოფილი – 150; შაქარი– 50; მურაბა და ჯემი – 5; სამამულო ღვინო – 20; მარილი – 8; ჩაი – 2.**

ასეთი არაჩვეულებრივი „მენიუს“ შინაარსსა და „ხელგაშლილობას“ სულაც თავი რომ დავანებოთ, ამ მართლაც რომ „ზღაპრული შიგთავსის კალათის“ „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან“ რაღაც-რაღაცეებს შორის, ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები არც კომუნალური გადასახადები, არც საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯი, მით უმეტეს გახსენებითაც არავის ახსოვს სამედიცინო მომსახურებისა და, რაც მთავარია, წამლების ყოველკვარტალურად მზარდი ფასები! ახლა კიდევ დღეში ნახევარი კვერცხის, 10 გრამი ბრინჯისა და 7 გრამი ნიორის ამბავიც თქვით!!!

წეღან სამედიცინო მომსახურებისა და წამლების დღითი დღე მზარდი ფასები ვახსენეთ და ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ უკლებლივ ყველა ხელისუფლება ამ ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე, ქვეყანაში სააფთიაქო მაფიის სრულიად განუკითხავი თარეშის ალაგმვის მტკიცე პირობას დებდა ხოლმე... არჩევნებამდე და შემდეგ მომდევნო არჩევნებამდე გულარხეინად ავიწყდებოდა... თუმცა ამაზე ხომ უკვე ვილაპარაკეთ...

მაგრამ, შედეგი რა?..

სხვა თუ არაფერი, სნეული ხალხისა მაინც შეგრცხვეთ, „ხალხის მსახურნო“! სცადეთ, აბა, საკუთარ კეთილდღეობაზე მეტად მოსახლეობის გაჭირვებაზე იღვაწოთ და იქნებ ხალხმა მეტი ხალისით აგიბათ მხარი!

ოთარ ტურაბელიძე

ონკოპაციენტებს კლინიკაში მედიკამენტების აფთიაქიდან მიტანა აღარ მოუწევთ!

ჯანდაცვის სამინისტროში, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებისა და პაციენტთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. მინისტრმა მათ სხვადასხვა თერაპიისთვის საჭირო მედიკამენტების გაცემის წესის ახალი პროექტი წარუდგინა, რომლის მიხედვითაც, წამლები პირდაპირ სამედიცინო დაწესებულებებში იქნება ხელმისაწვდომი.

მიხეილ სარჯველაძის განმარტებით, ბენეფიციარებს აღარ მოუწევთ, სააფთიაქო ქსელებიდან, კლინიკაში მედიკამენტების თავად მიტანა – პროცედურაზე მისულ ყველა პაციენტს წამალი დაწესებულებაში დახვდება. როგორც ჯანდაცვის მინისტრმა აღნიშნა, ცვლილების მიზანია, ქვეყანაში, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდეს. პაციენტების განცხადებით კი, აღნიშნული ინიციატივა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მათ ყოველდღიურობასა და თავად მკურნალობის პროცესს.

შეხვედრაზე, ონკოლოგიის მკურნალობასთან დაკავშირებულ სხვა მიმართულებებზეც იმსჯელეს – მხარეებმა, სერვისების მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს და ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები გაუზიარეს.

შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ: ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე თამარ გაბუნია, მინისტრის მოადგილე თეა გიორგაძე, სამინისტროს სხვა დეპარტამენტებისა და პაციენტთა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

საქართველოს რესპუბლიკა

გამოჩენილი ქართველი კაცი

დღეგრძელობა და მზეგრძელობა ლერი ხაბელოვს!

დღეს, 2024 წლის 5 ივლისს, დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა ლერი ხაბელოვს, კაცობრიობის ისტორიაში არსებული ყველა ოფიციალური ტიტულის მქონე თავისუფალი სტილის მოჭიდავეს 100 კგ წონით კატეგორიაში: XXIV ოლიმპიადის მეორე პრიზიორი; XXV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი; მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი და მესამე პრიზიორი; ევროპის ოთხგზის ჩემპიონი; მსოფლიოს თასის მფლობელი; მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის; საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი და მეორე პრიზიორი; საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი; თბილისის საერთაშორისო ტურნირში ექვსგზის გამარჯვებული გერმანიის, ბულგარეთისა და პოლონეთის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული; საქართველოს 1987 წლის საუკეთესო სპორტსმენი...

არ ვარ დარწმუნებული, რომ არაფერი გამომრჩენია, მაგრამ დამეთანხმებით, ამ ჩამონათვალზე მსოფლიოს ყველა ეპოქის ხუთიოდე „დიდი“ და „უდიდესი“ სპორტსმენი თუ არ იოცნებებდა.

მოდი, ისიც გავიხსენოთ, რომ საბჭოთა ეპოქაში არარუსი სპორტსმენისთვის სსრკ-ის ჩემპიონობა, მით უფრო, საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში მოხვედრა და საერთაშორისო არენაზე გამოსვლის უფლების მოპოვება ურთულესი პრობლემა გახლდათ. მოთხოვნა იყო მარტივი და კატეგორიული – თუნდაც ფორმალურად, რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღება. იყო მეორე გზაც - მტკიცე ნერვები, სიმამაცე, შეუპოვრობა და ყველა შესაძლო სპორტულ მეტოქეზე ორი თავით მაღლა დგომა.

უამრავი უსამართლობის, აუხსნელი გაუგებრობის, დამცირების, ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობის მიუხედავად, ავჭალელმა ბიჭმა თავისი მონდომებით, შრომისმოყვარეობით, პრინციპულობითა და ღვთისგან ბოძებული ნიჭით ყველა დაბრკოლების გადალახვა და მსოფლიო ჭიდაობის ისტორიაში ერთ-ერთი უპირველესი სპორტსმენის სახელის მოპოვება შეძლო.

ლერი ხაბელოვის სპორტულ კარიერაში იყო ერთი უზარმაზარი ფსიქოლოგიური ბარიერიც: „დიდი ტედი“ – ლევან თედიაშვილი. იმედია, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ იგი გახლდათ უნიკალური მოვლენა მსოფლიო სპორტის ისტორიაში. თავად განსაჯეთ - მიუნხენის და მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი, ევროპის სამგზის და საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, უამრავი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული; ერთადერთი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის, ვინც ჩემპიონის ტიტულები სამ წონით კატეგორიაში (82, 90, 100 კგ) მოიპოვა! ვინც ისე, მწვრთნელებისა და მეგობრების თხოვნით დათანხმდა თავისუფალისაგან რადიკალურად განსხვავებული სტილის, სამბოს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას და იქაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა!

„დიდი ტედის“ დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ, გასული საუკუნის 80-იანი წლების გარიჟრაჟზე, შეიქმნა ვითარება, როცა მსოფლიო ჭიდაობის არენაზე აუცილებლად უნდა გამოჩენილიყო ძლევამოსილი ფალავანი, ვინც ღირსეულად დაეპატრონებოდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო იმპერატორის ტახტს. რაც მთავარია, ლევან თედიაშვილის მემკვიდრე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ქართული საჭიდაო სკოლის წარმომადგენელი.

მალე ისიც გამოჩნდა და საიმპერატორო ტახტზე მორჭმით დაჯდა. მისი სახელი თითქმის თხუთმეტი წლის განმავლობაში თავზარს სცემდა მეტოქეებს და აღაფრთოვანებდა გულშემატკივრებს – ლერი ხაბელოვი!

ბარემ აქვე გავიხსენოთ იმ ქართველი მწვრთნელების სახელები, ვინც პირველებმა ირწმუნეს უცნობი ქართველი ბიჭის ფენომენალური შესაძლებლობები და მალე მისი სახელი მსოფლიოს გააცნეს – ვანო ნიკოლაძე და ლადო მესტვირიშვილი.

გულწრფელად რომ ვაღიარო, ლერი ხაბელოვზე, გამოჩენილ სპორტსმენსა და მოღვაწეზე საუბარი ძალიან ძნელია – ჯერ ერთი, მასზე უკვე ბევრია ნათქვამი და დაწერილი და რაც მთავარია, რაგინდ ბევრი ითქვას და დაიწეროს, სათქმელი მაინც განუზომლად მეტი დარჩება. ეს ეხება მის სპორტულ თავგადასავლებს, საზოგადო მოღვაწეობას, ოჯახიშვილობას თუ მეგობრულ ურთიერთობებს.

იქნებ ცოტა უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ამ მართლაც უნიკალური ნიჭითა და შესაძლებლობებით დაჯილდოებული კაცის არც სპორტული და არც სპორტის შემდგომი ცხოვრებისეული გზა სულაც არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. ვითარება განსაკუთრებით გართულდა საქართველოს ხელისუფლების სათავეში სააკაშვილისა და მისი „ჩემი გუნდის“ მისვლის შემდეგ.

საქართველოს უახლესი ისტორიის მკვლევარები ოდესმე გამოწვლილვით შეისწავლიან ოცდამეერთე საუკუნის ევროპული ცივილიზაციისკენ მიმავალ საქართველოში „ნაცური“ დიქტატორული რეჟიმის დამყარების მიზეზებსა და მის შედეგებს. ახლა კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ 2004 წლიდან მოყოლებული, ეს რეჟიმი ისევე დაუნდობლად გაუსწორდა მსოფლიო მასშტაბის სპორტულ მოღვაწეს, როგორც ბევრ, ძალიან ბევრ ბიზნესმენსა თუ პოლიტიკასთან ასე თუ ისე დაკავშირებულ პერსონას. ხელისუფლების მხრიდან იყო საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილისა და ვიცე პრეზიდენტის ლერი ხაბელოვის დაპირისპირების კატეგორიული მცდელობები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, თავისი სამართლიანობით ცნობილი ხაბელოვის ბინძურ პოლიტიკურ სათამაშოდ გამოყენების დაუოკებელი მცდელობა.

მაშინდელმა ხელისუფლებამ ჯერ ქვეყ-

მალე ისიც გამოჩნდა და საიმპერატორო ტახტზე მორჭმით დაჯდა. მისი სახელი თითქმის თხუთმეტი წლის განმავლობაში თავზარს სცემდა მეტოქეებს და აღაფრთოვანებდა გულშემატკივრებს — ლერი ხაბელოვი!

ნიდან გააძევა, მერე, საერთოდ, იმქვეყნად გაისტუმრა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, მილიარდერი ბადრი პატარკაციშვილი; სამსახურიდან დაითხოვა ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია – „კერკეტი კაკლის“ თავის ნებაზე მართვა ვერ მოახერხა.

ასე გრძელდებოდა 2012 წლის ოქტომბრამდე, საქართველოს ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მისვლამდე.

იმ არცთუ შორეულ წარსულზე ერთ პატარა და მრავლისმთქმელ მაგალითს შემოგთავაზებთ:

„ლერი ხაბელოვს ან უჩინმაჩინის ქუდი აქვს ან თაღლითია. მან გარკვეული ხნის წინ, საქართველო ქართული პასპორტით დატოვა. იგი ახლა საქართველოშია. ამაში, უცნაური რა უნდა იყოს? საქმე ის გახლავთ, რომ ლერი ხაბელოვის, როგორც ასეთი – სულიერი არსების, ინდივიდის, პიროვნების, მოქალაქის შემოსვლა ქვეყნის ტერიტორიაზე, არ ფიქსირდება.

არადა, ეს კაცი საქართველოშია. ქვეყნის კონტროლირებადი საზღვარი არ გადმოუკვეთია. მაინც რა უნდა იყოს? როგორც ვთქვით, ბიძინა ძალიან მდიდარია, მაგრამ არც ისეთი, რომ ხაბელოვისთვის, ერთი კაი უჩინმაჩინის ქუდი ეყიდა. მაშ როგორ მოხვდა საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქე ხაბელოვი, „თავისი ოცნებისტური მეობით და რუსული გაგებით“?

ამის ორი გზა არსებობდა. ერთი ის, რომ მას აქვს ყალბი პასპორტი, სხვა სახელით და გვარით და ამ ყალბი პასპორტით გადმოკვეთა საზღვარი. არის მეორე ვარიანტიც: ლერი ხაბელოვი ცხინვალის გავლით გადმოვიდა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არალეგალურად. 12. 09. 2012 პრესა. ჯი“

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ – ინკოგნიტო ავტორი „რუსული გაგების“ ადამიანად მოიხსენიებს „მოქალაქე ხაბელოვს“, გამოჩენილ ქართველ კაცს, ვინც 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვების შემდეგ, პრინციპულად არ ავიდა კვარცხლბეკზე, ვიდრე ტურნირის ორგანიზატორებმა საქართველოს დროშა არ ააფრიალეს და საქართველოს ჰიმნი არ დააგუგუნეს!

შემეძლო, ისიც გამეხსენებინა, როგორ აცხადებდნენ ლერი ხაბელოვს მოღალატედ ოსი სეპარატისტები, რადგან მან რუსეთის კარნახით სამხრეთ ოსეთის ავტონომიის საქართველოდან გამოყოფას და „დამოუკიდებელ რესპუბლიკად“ გამოცხადებას მხარი არ დაუჭირა; ისიც, როგორ მოითხოვდა სააკაშვილი პეკინის ოლიმპიური თამაშებიდან ლერი ხაბელოვის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრების გამოთიშვას...

და კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი ავი და კარგი მისი უაღრესად რთული და საინტერესო ცხოვრებიდან.

ლერი ხაბელოვი იმიტომ არის „დიდი“, რომ ყველა ცდუნებას გაუძლო და თავისი სამშობლოს, საქართველოს დროშა დღემდე ღირსეულად ატარა. სწორედ ამ ღირსეული კაცობის გამოა იგი დაჯილდოებული ღირსების, ვახტანგ გორგასლის, ბრწყინვალების საპრეზიდენტო, საერთაშორისო ოლიმპიური და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ორდენებით; 2012 - 2016 წლებში არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის წევრად (სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე); უკვე მრავალი წელია, ხელმძღვანელობს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს.

დღეგრძელობა და წარმატებები ვუსურვოთ დიდ კაცს, ლერი ხაბელოვს!

თეიმურაზ ძორიძე



დაუვიწყარი კადრი, 1992, ბარსელონა...

„ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“

20 საუკუნის წინ ვიტრუვიუსის მიერ შექმნილი, არქიტექტურის ბიბლიად წოდებული წიგნი ქართულად პირველად გამოიცა.

მარკუს ვიტრუვიუსის ტრაქტატის – „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“ - ქართული თარგმანის პრეზენტაციას კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უმასპინძლა. წიგნი სამინისტროს მხარდაჭერით ითარგმნა და მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოსცა გამომცემლობა „სეზან ფაბლიშინგმა“.

თარგმანის პრეზენტაციას კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, პროექტის ინიციატორი, არქიტექტორ-რესტავრატორი ტარიელ კიპაროიძე, საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების რესტავრაციისა და ხელოვნების საბჭოს ხელმძღვანელი აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი, სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსი სვიმეონი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი ყარამან ქუთათელაძე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე დავით აბულაძე, მთარგმნელი ნინო ხუციშვილი, გამომცემლობა „სეზან ფაბლიშინგის“ დირექტორი შორენა შავერდაშვილი, დეკანოზი ბესარიონ მენაბდე, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, პროფესორები და არქიტექტურის სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

2022 წლიდან კულტურის სამინისტრომ დაიწყო იშვიათობად ქცეული წიგნების ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა. სწორედ სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის საჭირო ამ მნიშვნელოვანი პრიორიტეტის გათვალისწინებით გამოიცა ქართულად „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ”.

ვიტრუვიუსის ეს ნაშრომი თარგმნილი და გამოცემულია მრავალ ენაზე, ისტორიული ხუროთმოძღვრებით განთქმულ, მშენებლობის უძველესი ტრადიციების მქონე ქვეყანას კი ქართულ ენაზე არ გააჩნდა „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“. ეს გამოცემა, რომელიც ქართველ სტუდენტებს, არქიტექტორებსა და არქიტექტორ-რესტავრატორებს პროფესიულ განვითარებასა და ცოდნის გაღრმავებაში დაეხმარება, ქართული კულტურის მნიშვნელოვანი შენაძენია.

პროექტის ინიციატორი და გამოცემის სამეცნიერო რედაქტორია საქართველოს დამსახურებული არქიტექტორ-რესტავრატორი ტარიელ კიპაროიძე, მთარგმნელი - ნინო ხუციშვილი, რედაქტორები – ცისანა თოდუა-კარტოზია და ელზა ნაბახტეველი, დიზაინერი – მაკა ცომაია.



ინფორმაციისთვის: რომაელმა არქიტექტორმა და ინჟინერმა მარკუს ვიტრუვიუსმა ძვ. წ. პირველ საუკუნეში დაწერა ნაშრომი „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“. ქრისტეშობიდან მოყოლებული, დღემდე, არქიტექტურის ბიბლიად წოდებული წიგნი ახალგაზრდების არქიტექტორებად ჩამოყალიბების წყაროდ რჩება და იცავს არქიტექტურის კრედოს ვიტრუვიუსის ტრიადით – „სიმტკიცით, სარგებლით, მშვენიერებით“. სწავლული ბერძნულ არქიტექტურას განიხილავს, როგორც ძეგლს და მისი აპოლოგეტია. იტალიური რენესანსი ეყრდნობა სწორედ ვიტრუვიუსის ნაშრომს, რომელიც 1486 წელს დაიბეჭდა.

აღსანიშნავია, რომ ვიტრუვიუსის ნაშრომში დეტალურად არის აღწერილი კოლხური კოშკის აგების ტექნოლოგია.

ტრაქტატს ეცნობოდნენ რენესანსის ტიტანები, რომელთათვისაც ვიტრუვიუსი ავტორიტეტად იქცა. შემთხვევითი არ არის, რომ ლეონარდო და ვინჩიმ შექმნა საყოველთაოდ ცნობილი „ვიტრუვიუსის ადამიანის“ გრაფიკული გამოსახულება კომენტარებით. ისიც ნიშანდობლივია, რომ აღორძინების ხანის ცნობილმა მოღვაწემ ლეონ ბატისტა ალბერტიმ თავის ტრაქტატს უწოდა „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“.

თემო მაჭავარიანის რეტროსპექტული გამოფენა





დღეს დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში თემო მაჭავარიანის მასშტაბური გამოფენა გაიხსნება. ორგანიზატორების ინფორმაციით, გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მხატვრის 60-მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი.

თემო მაჭავარიანი 1970 წელს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მაშინ უთქვამს ხელოვნებათმცოდნე ლეო რჩეულიშვილს, თუკი არსებობს აბსოლუტური სმენა, თემოს აბსოლუტური ხედვა აქვსო. ერთი წლის შემდეგ ის თეატრის მხატვრობის ფაკულტეტზე გადავიდა ფარნა ლაპიაშვილის სახელოსნოში. აკადემიაშივე დაამთავრა ასპირანტურა უჩა ჯაფარიძის კლასში.

70-იანი წლებიდან იწყება მხატვრის შემოქმედებითი გზა. მასზე ამბობდნენ, ფიზიოლოგიურად, ბიოლოგიურად მხატვარიაო. ბუნებით თავმდაბალი თავისუფალ შემოქმედად ჩამოყალიბდა. ფერწერისა თუ გრაფიკის ენის სიღრმით გამზიარებელი კომპრომისს გამორიცხავდა. თემო მაჭავარიანის გრაფიკული თუ ფერწერული მემკვიდრეობა მხატვრის მშობლიური ძველი ქალაქის პეიზაჟები და ახლობლების პორტრეტებია.

კარგი ნახატის შესაქმნელად გულწრფელობაა უპირველესი – ასე სწამდა და ასე მოძღვრავდა თაობებს. თავადაც ასე ქმნიდა განსაკუთრებული ბუნებრიობით აღბეჭდილ ბრწყინვალე ფერწერასა თუ გრაფიკას.

თემო მაჭავარიანმა – მხატვარმა და პედაგოგმა, უდიდესი კვალი დატოვა ქართულ მხატვრობასა და საზოგადოებაში.

ინფორმაციისთვის: 2021 წელს, 30-წლიანი წყვეტის შემდეგ, საქართველოს კულტურის სამინისტრომ პროექტის – „ქართული კულტურისათვის მნიშვნელოვანი კერძო კოლექციების ერთიანობის შენარჩუნება/სამუზეუმო ფონდების შევსება” – ფარგლებში სამუზეუმო ფონდების შევსება დაიწყო და შეიძინა ქართველი ხელოვანების, მათ შორის – თემო მაჭავარიანის ნამუშევრები.

გამოფენა 1 სექტემბრამდე გასტანს.

საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმში ლატვიელი საზოგადო მოღვაწის, ხელოვნების სასახლის ფოლკლორული და გამოყენებითი ხელოვნების კოლექციების შემქმნელის იული სტრაუმეს 150 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ღონისძიებები გაიმართა.

საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრმა თეა წულუკიანმა და საქართველოში ლატვიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ედიტე მედნესმა ანსამბლ „დიდგორის“ მიერ შესრულებული მრავალჟამიერის თანხლებით იული სტრაუმეს ბიუსტი საზეიმოდ გახსნეს.

ბიუსტი, რომელიც მუზეუმის სკვერში, იული სტრაუმეს კორპუსის წინ განთავსდა, საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერითა და ხელოვნების სასახლის დაფინანსებით შეიქმნა. ძეგლის ავტორია მოქანდაკე კახა არუნაშვილი.

ღონისძიებას, რომელსაც მასპინძლობდა საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის გენერალური დირექტორი გიორგი კალანდია, ესწრებოდნენ ისრაელის ელჩი საქართველოში ჰადას მეიცადი, გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი ნინო ჭიპაშვილი, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ნიკა ახალბედაშვილი, საქართველოში ლატვიის საელჩოსა და გულბენის ისტორიისა და ხელოვნების მუნიციპალური მუზეუმის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

ასევე, იული სტრაუმეს პატივსაცემად კორპუსს, რომელიც

იული სტრაუმე – ქართული კულტურის დიდი პოპულიზატორი

2021 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ხელოვნების სასახლემ შეიძინა სტრაუმეს მიერ შექმნილი კოლექციების დასაცავად, იული სტრაუმეს სახელი ეწოდა და ოფიციალურად იწოდება ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის იული სტრაუმეს სახელობის მეორე კორპუსად.

ღონისძიების ფარგლებში სასახლის ისტორიულ ნაწილში გამოიფინა სტრაუმეს მოღვაწეობასთან დაკავშირებული კოლექცია. ასევე გაიმართა საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოცემული სამენოვანი (ქართული, ინგლისური, ლატვიური) კატალოგის - „იული სტრაუმეს“ - პრეზენტაცია, რომლის ტექსტიც ხელოვნების სასახლის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა იზოლდა მელიქიშვილმა შეადგინა. მაღალპოლიგრაფიული კატალოგი გამოსცა გამომცემლობა „სეზან ფაბლიშინგმა“.

იული სტრაუმე ხელოვნების სასახლის ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის კოლექციების შემქმნელია. 1907-1922 წლებში მოღვაწეობდა საქართველოში და ქართული კულტურის, გამოყენებითი ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეს აქტიურად ემსახურებოდა.

მაჭყუარა, ცბიერ ქვეყნად ამერიკის ჩამოყალიბებაში ყვითელ პრესას უდიდესი წვლილი მიუძღვის!

ეგრეთ წოდებულ ტაბლოიდს, იგივე, ყვითელ ანუ ბულვარულ პრესას, ხშირად ახსენებენ, მაგრამ მისი ისტორია ბევრმა არ იცის. ესაა სკანდალების, ჭორების, წვრილმანი ინტრიგებისა და ყურმოკრული ამბების გამავრცელებელი ჟურნალ-გაზეთები. სხვათა შორის, ერთ-ერთი საყურადღებო მიმართულებაა ჟუტრნალისტიკაში, რომლის სათავეები, ალბათ, მე-19 საუკუნის ბოლოს უნდა ვეძიოთ შეერთებულ შტატებში. ტაბლოიდის დამფუძნებლად ორი ცნობილი ამერიკელი გამომცემელი, ჯოზეფ პულიცერი და უილიამ ჰერსტია მიჩნეული. რატომ უწოდეს მაინცდამაინც ყვითელი ასეთ პრესას? მკვლევართა აზრი ორად იყოფა: ერთი ვერსიით, მოყვითალო გახუნებულ ქაღალდზე იბეჭდებოდა, ანუ იაფფასიან პრესაში იაფ ქაღალდს იყენებდნენ

ჯოზეფ პულიცერი

სამუშაოდ. მეორე ვერსიით, ყვითელი პრესა მაშინდელი პოპულარული კომიქსის, ყვითელი ბიჭუნას, მიბაძვით შეარქვეს. **Penny-Press**, ანუ ერთცენტიანი გაზეთები ეწოდა ასეთ გამოცემებს. მე-19 საუკუნის მიწურულს, ამერიკაში უმრავი გაზეთი გამოდიოდა, მაგრამ მათი უმრავლესობა ვიწრო პარტიული მიმართულებისა იყო.

მაშინ, ნიუ-ორკში ერთი უნგრელი ებრაელი ჯოზეფ პულიცერი ცხოვრობდა, რომელიც გაზეთებს გამოსცემდა. ის პირველი იყო, ვინც მიხვდა, რომ ადამიანებს სკანდალური ამბები აინტერესებდათ. 1883 წელს მან გაზეთი **New-York-World** იყიდა, რომელიც ბულვარულ გამოცემად გადააქცია. მოგვიანებით კი, ნიუ-ორკში სანფრანცისკოელი მილიონერი უილიამ ჰერსტი გამოჩნდა. მამამისი ვერცხლის საბადოებს ფლობდა, მაგრამ ის მამის საქმიანობით არ დაინტერესდა და ჟურნალისტიკას მიჰყო ხელი, რომლის შესასწავლად პულიცერის გაზეთში ორი წელი იმუშავა.

სტაჟირება რომ დაამთავრა, მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, სადაც გაზეთ **San-Francisco-Examiner**-ის გამოცემას შეუდგა. უილიამ ჰერსტს მამასთან ურთიერთობა დაეძაბა და ნიუ-ორკში გადასახლდა, სადაც გამოცემა **New-York-Journal**-ი შეიძინა, რითაც პულიცერის კონკურენტი გახდა. თუ პულიცერის ინტერესის საგანი სოციალური უსამართლობა და მასთან დაკავშირებული სკანდალები იყო, ჰერსტს, უფრო, კრიმინალური სენსაციები და მათი გამოძიება აინტერესებდა. ფაქტების გადამოწმებით, თავს არც ერთი გამოცემა არ იწუხებდა: მკითხველს სერიოზულ ფაქტებზე მეტად ხმაურიანი ამბები ხიბლავდა. მალე, მათ შორის კონკურენცია ნამდვილ ომში გადაიზარდა. ჰერსტი გაზეთს ერთ ცენტად ყიდდა და პულიცერიც იძულებული გახდა, თავისი გამოცემის ფასიც დაეწია. 1895 წელს, გაზეთ **New-York-World**-ში პირველად გამოჩნდა კომიქსი, სახელწოდებით, **The-Yellow-Kid**, „ყვითელი ბიჭუნა“, რომლის ავტორი ცნობილი კარიკატურისტი რიჩარდ აუტკოლტი იყო. მალე, მისმა კომიქსებმა სახელი გაითქვა, რადგან ფერადად იბეჭდებოდა. იმ დროს, ამერიკაში, მხოლოდ შავთეთრი კომიქსები იყო, რომლის წყალობით, პულიცერმა მეტი რაოდენობის გაზეთი გაავრცელა. ჰერსტმა კი, კარიკატურისტი მეტი ხელფასით დააინტერესა და თავისკენ გადაიბირა, რამაც ორ კონკურენტ გამომცემელს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბა. ისინი ერთმანეთის გაშავებას შეუდგნენ. ნიუორკელი მკითხველი ძალიან შეაწუხა იმ ბინძურმა კომერციულმა ჭიდილმა. 1896 წელს, **New-York-Press**-ის დირექტორმა ერვინ უორდენმა, კრიტიკული სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც კონკურენტ გაზეთებს დაცინვით ყვითელი პრესა უწოდა. აი, ასე დამკვიდრდა ეს ტერმინი მსოფლიო საზოგადოების ლექსიკაში.

შეიძლება ითქვას, რომ პულიცერ-ჰერსტის საგამომცემლო ომმა ესპანურ-ამერიკულ კონფლიქტს მისცა ბიძგი: ორივე გაზეთი ბეჭდავდა ფეიკ-ნიუსებს ესპანური კოლონიების, კუბისა და პუერტო-რიკოს შესახებ, რამაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა გაამწვავა. მაგალითად, ჰავანაში მდგარ ამერიკულ ხომალდზე რომ აფეთქება მოხდა, კონკურენტმა გაზეთებმა ამბავი ისე გააბუქეს, რომ ინციდენტმა კონფლიქტი გამოიწვია. ეს ამბავი ისტორიაში აირეკლა, თუმცა, მხოლოდ დაუდასტურებელი ფაქტის სახით. 1897 წლის იანვარში, ჰერსტმა ჰავანაში მხატვარი ფრედერიკ რემინგტონი გაგზავნა, რომელმაც მას იქიდან უდეპეშა, ყველაფერი დამშვიდდა, ომს პირი არ უჩანსო. ამაზე, ჰერსტმა მხატვარს უპასუხა, შენ რაც შეიძლება მძიმე სურათები გამომიგზავნე და ომი ჩემზე იყოსო. ბოლოს და ბოლოს, პულიცერმა უარი თქვა ყვითელ პრესაზე და თავისი გაზეთი, **New-York-World**, სამაგალითო სერიოზულ გაზეთად აქცია, რომელიც დემოკრატიული პარტიის საყვარელი გამოცემა გახდა. თავად პულიცერმაც შეიცვალა იერსახე: სოციალურ უთანასწორობასთან მებრძოლი გახდა.

ამერიკის მთავრობამ სწორედ მისი ძალისხმევით მიიღო ანტიმონოპოლიური კანონი. პულიცერი ნიუ-იორკს თავისუფლების ქანდაკების დაფინანსებაშიც დაეხმარა. მისი ინიციატივით, ჟურნალისტიკის ფონდი შეიქმნა, რომელმაც პულიცერის პრემია დააარსა. პულიცერის პრემია, შემოქმედ ადამიანთა ღვაწლის აღსანიშნავად, ყოველწლიური უმაღლესი ჯილდოა ჟურნალისტიკაში, ხელოვნებასა და მწერლობაში. უილიამ ჰერსტმა კი, ბოლომდე ყვითელ პრესას მიუძღვნა თავი. მისმა გამოცემებმა კიდევ უფრო მეტი სკანდალურობა შეიძინა. საბოლოოდ, ჰერსტის გამომცემლობა უზარმაზარ ჰოლდინგად იქცა, სახელწოდებით **Hearst-Corporation**, რომელშიც ბევრი ჟურნალ-გაზეთი და რადიოსადგური გაერთიანდა, მაგალითად, ისეთი ცნობილი ჟურნალები როგორიცაა **Cosmopolitan da Esquire.**

ჰოლდინგის ჟურნალისტები დაგეშილები იყვნენ სენსაციებსა და ჭორებზე ცნობილი ადამიანების შესახებ. ჰერსტმა, რატომღაც, ამერიკის პრეზიდენტი უილიამ მაკ-კინლი აითვალწუნა. მისი პირადი მითითებით, პრესა

უილიამ ჰერსტი

გაუთავებლად აშავებდა პრეზიდენტსა და მის ადმინისტრაციას. ერთხელ, 1901 წლის 13 სექტემბერს, ჰერსტის კუთვნილი **New-York-Journal**-ი წერდა: თუ ცუდი ინსტიტუტებისა და ცუდი ადამიანებისგან თავის დაღწევა მხოლოდ მათი მოკვლით არის შესაძლებელი, მაშინ, მკვლელობა უნდა მოხდეს. მეორე დღეს, ანარქისტმა ლეონ ჩოლგოშმა ამერიკის პრეზიდენტი სასიკვდილოდ დაჭრა. დაკავებისას, პოლიციამ ანარქისტის ჯიბეში **New-York-Journal**-ის ეგზემპლარი ნახა, რომელშიც მკვლელობის მოწოდების სიტყვები წითლად იყო ხაზგასმული. უილიამ ჰერსტი ამერიკაში სძულდათ. თავად, ადოლფ ჰიტლერით იყო აღრფთოვანებული, რომელსაც, 1934 წელს პირადად ეწვია. როცა ერთმა ქალბატონმა ჰერსტი იმისთვის გაკიცხა, რომ მას არ ჰქონდა არც ერთი გამოცემა ბუნებაზე, ჰერსტმა უპასუხა, როცა ნიანგები და ყვავილები ჟურნალების ყიდვას დაიწყებენ, ჩვენც მაშინ გამოვუშვებთ ჟურნალს ბუნებაზეო. 1941 წელს, ცნობილმა რეჟისორმა და მსახიობმა ორსონ უელსმა გადაიღო ფილმი, სათაურით, **Citizen Kane**, მოქალაქე კეინი. რომელმაც უილიამ ჰერსტი გააშარჟა. ჰერსტმა ყველაფერი იღონა, რომ ფილმი დიდ ეკრანზე არ მოხვედრილიყო, მაგრამ ვერაფერს გახდა. ნაწარმოებმა პოპულარობის ყველა რეკორდი მოხსნა და ოსკარის 9 ნომინაცია დაიმსახურა. ჰერსტს ისღა დარჩა, რომ მის გამოცემებში ფილმის ხსენება აეკრძალა.

მიუხედავად ყველაფრისა, ჰერსტის ჟურნალ-გაზეთები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ: ბულვარული ტიპის ახალი ამბების მომხმარებელს რა გამოლევს! მე-20 საუკუნის დასაწყისში ჰერსტის მიერ გამოცემული გაზეთების ყოველდღიურმა გამოშვებამ – რვა მილიონს, ჟურნალებისა კი, თერთმეტ მილიონს მიაღწია. ძალიან დიდი ციფრია იმ დროისთვის. უილიამ ჰერსტი სიცოცხლის ბოლომდე მართავდა თავის გიგანტურ კორპორაციას. გარდაცვალების შემდეგ კი, მისი საქმე შთამომავლებმა განაგრძეს. დღესაც, **Hearst-Communications** ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიო მედია-ბაზარზე.

პარიზის ოლიმპიადაზე ეკოლოგიამ... კომფორტი უნდა შეიწიროს!?

მოგეხსენებათ, ოლიმპიური თამაშები არა მხოლოდ მასშტაბური სპორტული ღონისძიება, არამედ საყოველთაო ზეიმიცაა. ოთხ წელიწადში ერთხელ, სპორტსმენები მთელი მსოფლიოდან, რომლებიც ამ ღონისძიებისთვის წლების განმავლობაში ემზადებიან, ერთ ქალაქში იყრიან თავს. წელს, 26ივლისიდან 11 აგვისტომდე, ოლიმპიადას პარიზი უმასპინძლებს, სადაც, მსოფლიოს ყველა კუთხიდან, თხუთმეტი ათასამდე სპორტსმენი ჩავა. ოლიმპიადისთვის მზადება პარიზმა რამდენიმე წლის წინ დაიწყო. აშენდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ოლიმპიური სოფელი, რომელიც ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს და 53 ჰექტარ ფართობზეა გაშლილი. მშენებლობას 2 მილიარდი დოლარამდე დასჭირდა.



დახარჯული ფულის რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, ოლიმპიური სოფლის ნაგებობები ფეშენებელურ სასტუმროებს უნდა ჰგავდეს, მაგრამ არა! სპორტსმენთა საერთო საცხოვრებლების პატარა ოთახები უაღრესად სპარტანულადაა მოწყობილი. ეს კიდევ არაფერი! საწოლები მუყაოსგანაა დამზადებული, კედლები სიფრიფანაა და ტროტუარები ხამანწკისებრი ნიჟარებითაა დაგებული. საქმე ის არის, რომ მასპინძელმა ეკოლოგიურად უსფრთხო ოლიმპიური სოფლის გაკეთება მოინდომა, რაც ძალიან ძვირი დაჯდა, კომფორტი კი, დაიკარგა. გარდა ამისა, სოფელში აკრძალულია კონდიციონერების გამოყენება. როგორც პარიზის მერმა, ქალბატონმა იდალგომ განაცხადა, კონდიციონერი ოზონის შრეს აზიანებს და ოზონის ხვრელს ზრდის.

ოლიმპიური სოფლის ორგანიზატორების აზრით, სოფელს დიდი ზომის ჟალუზები და დიდი რაოდენობის ხე გააგრილებს. ასეთი პირობები ბევრმა ქვეყანამ გააპროტესტა, რადგან, ოლიმპიური თამაშების დრო წლის ყველაზე ცხელ პერიოდს ემთხვევა. შარშან, ივლის-აგვისტოში, პარიზში, სიცხის რეკორდული მაჩვენებლი აღინიშნა. ბევრი მონაწილე კონდიციონერების დაყენებას ითხოვს. დასავლეთის ზოგმა ქვეყანამ, მაგალითად, ამერიკამ, ბრიტანეთმა, გერმანიამ, კანადამ და ავსტრალიამ სპორტსმენების პორტატული კონდიციონერებით შეიარაღება გადაწყვიტა. ითქვა, რომ სპორტსმენებმა, უპირველეს ყოვლისა, შეჯიბრზე უნდა იფიქროს და არა ეკოლოგიაზე. პორტატული კონდიციონერების იდეა ბევრმა მოიწონა, მაგრამ შედარებით ღარიბმა ქვეყნებმა საყვედური გამოთქვეს, რომ სპორტსმენების კომფორტულ გარემოზე ზრუნვა, ახლა, თავიანთ ხარჯზე მოუხდებათ. კონსერვატულმა ევროპულმა მედიამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა პარიზის მერი, რომელიც, მათი აზრით, მოდას აყოლილი მემარცხენე ლიბერალია.

ფაქტობრივად, მერის პოზიცია ნიშნავს: ან შეჯიბრი ან ეკოლოგია! თუ ქალბატონ მერს ასე აწუხებს ეკოლოგია, ჯობს, ფაბრიკა-ქარხნებს მიხედოს, რომელიც მილიონჯერ უფრო მეტად აბინძურებს გარემოსო. მასმედიის კრიტიკას ექსპერტებიც იზიარებენ. მათი აზრით, პორტატული კონდიციონერი ისევე დააბინძურებს გარემოს, როგორც სტაციონალური. ეტყობა, პარიზის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს უკეთესად უნდა ეფიქრათ, რას აკეთებდნენ.

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

ემზარ კვიტაიშვილი

აღზევებული ბოროტების დასათრგუნავად



„ფურიები“
(თანამედროვე მესტვირული)

ვის „მთავარსარდლობს“,
კი ვიცით,
ვისმინეთ მისი ქადილი,
ზურაბიშვილი სალომე,
სუტ-კნეინაა ნამდვილი.

სალომე სამადაშვილის
ვინ გაიგონა თავაზი,
ანდა სიმართლე – უტიფარ
თინასი, ბოკუჩავასი.

რა მისცეს ანას, ნაცვლიშვილს,
მუდამ ყეფა რომ სწადია!..
ბოროტთა ჩემპიონია
დეკანოიძე ხატია.

მეორე ანაც, წითლიძე,
ამას რად უნდა ცილობა,
თუკი გამოჩნდა ეკრანზე,
ამტკიცებს იმშეცილობას.

ფრთა გაუშლია კუდიანს,
ბლეფია მისი ქარტია;
ქოთქოთებს აქოთებული
თეონა აქუბარდია.

ვუსმენთ მგზნებარე გამოსვლებს
ხერხეულიძის, ეკასი;
იმ ძველ დროს, ულაპარაკოდ,
იმსახურებდა ჩეკაში.

ფული, ღალატი, შანტაჟი,
ესაა ბილწთა ტრიადა;
ფუფუნებაში პარპაში
გიგაურ-ლომჯარიათა...

მთელმა მსოფლიომ იხილა,
მათი „აქცია“ რაც არი,
შუშების ლეწვა, ჩამტვრევა
და პარლამენტთან ხანძარი,
ქვების, ბოთლების დაშენა,
აღმა და დაღმა წანწალი.

პოლიციაზე შეტევა,
ღრიალი, დედის გინება,
ნაგვის ყუთების ჯებირი,
სატანის გულმოდგინება.

გმირად ცხადდება ლაჩარი,
საძაგლობათა ჩამდენი;
არავის ძალუძს, აღრიცხოს -
დანაშაული ამდენი!

მინაწერი:
რას ნიშნავს ნაცთა „ერთობა“,
ბევრჯერ გამოჩნდა ნაღდად,
იქეცით მთავარ ჯალათის,
სააკაშვილის – ტახტად,
ლაზარე, ნორჩი ბარაბა,
თქვენი ემბლემა გახდა,
წამხდარნო, ცუცურაკებო,
მალე დარჩებით სახტად!..

სხვას უკიჟინებენ რუსეთუმეობას

ფეხქვეშ ვინც უგორდებოდა პუტინს,
სუყველა უნდა ათრიო კუდით,
განაწამები ხედავს ქვეყანა,
ნაცმოძრაობას რა სუნიც უდის!

ავსულთა ფაფხური

ვერ ვიგებთ, თუ ვინ ვისი დუბლია,
ასე მოქცევა არის რა წესი!
ტანჯვაა ცქერა თუჯისშუბლიან
და მოსყიდული მანჯგალაძესი.

ვერ ავუთავდით თახსირებს ამდენს,
სპეცებს – სიცრუის, ღრეჯვის და მანჭვის;
რა დავაშავეთ, ყოველდღე ჩანდეს,
ეკრანზე, ჭიჭე ვაშაძის ღრანჭი!

x x x

ბოღმით სავსენი, დაზაფრულები,
ყირაზე დგანან, უნდათ ქულები.

ქვემძრომნი, ვიცით, რასაც ელიან:
მელაძე, მელაშვილი, მელია...

მოთავეები ნგრევის, აკლების,
ღმერთო, გვაშორე ეს საძაგლები!

კანონი რომ არსებობდეს

დავით აღმაშენებლის
და ერეკლეს ლანძღვაში,
მოტატყანე, ფულს იღებს,
დღევანდელი ბაღვაში.

ყურებგაფლაშული და
საძაგელი ვამპირი,
ლადო ასათიანსაც
მისწვდა ეს ძაღლთაპირი.

დაქირავებულია,
ბილწავს ყველა სალოცავს;
ფეხით ჩამოსაკიდებს,
გავურჭობდი პალოსაც.

ბოროტთა აღლუმი

აფუთფუთდნენ, გესლს ანთხევენ
მოსარსალე გველები;
წამებაში კაცის კვლაში -
ბევრჯერ ნასახელები.
მათი სახე რომ დახატო,
ვერ მოძებნი საღებავს;
მოუხდებათ ბნელ, უძირო
ხრამში გადაძახება.

ჩემმა მტერმა უგდო ყური
მუმლაძეს და ბეჟუაშვილს;
ტვინი გაქვავებული აქვთ,
შეგეშლებათ შეშაში...

(გაგრძელება იქნება)

სოფლად დედალი ყიოდა



მისტერ
ენტონი ბლინკენს

ეს რა ვიხილე უფალო,
შავი დედალი ყიოდა!
გაოგნებული მამალი
ღობესთან მიმოდიოდა,
ავხედე ზეცას და მნათობს
ცხარე ცრემლები სდიოდა,
ჯორკოზე იჯდა ბეგია,
სიმწრისგან სული სტკიოდა...
უფალო, შეგთხოვ გულითა:
ნუ გაამამლებ დედალსა,
ნუ გაადედლებ მამალსა, –
მარად დედლისკენ მავალსა,
მამალს დედალს ნუ მოუშლი
და დედალს კიდევ მამალსა,
და მოწივწივე წიწილებს –
ნამდვილ დედას და მამასა!..

ირაკლი ვაშაძმაძე

„ორგანიზატორებმა აირჩიეს საქართველო, როგორც საუკეთესო მიმართულება“

„m&i Tbilisi 2024“ საქართველო საქმიანი ტურიზმის მასშტაბურ ფორუმს მასპინძლობს

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, თბილისში საქმიანი ტურიზმის საერთაშორისო ფორუმი „m&i Tbilisi 2024“ ჩატარდა.

სასტუმრო პარაგრაფ თბილისში, ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ **მარიამ ქვრივიშვილმა.** ფორუმს დაესწრო ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მაია ომიაძე.**

ღონისძიების ფარგლებში საქართველოს ეწვივნენ პოტენციური დამკვეთები დიდი ბრიტანეთიდან და ევროპის შემდეგი ქვეყნებიდან: ბელგია, ჩეხეთი, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლიეტუვა, ნიდერლანდები, პოლონეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი და შვეიცარია.

„ძალიან ვამაყობ, რომ საქართველოში ვატარებთ „m&I“-ის ფორუმს. თქვენს ქვეყანაში პირველად არ ვარ. ჩვენ გავითვალისწინეთ ბევრი ევროპელის რჩევა საქართველოში ფორუმის გასამართად. შარშან „m&I“-ის ღონისძიება საქართველოში ძალიან კარგად ჩატარდა და წელსაც ძალიან წარმატებული იქნება. ჩვენ ძალიან ბევრი კომპანია ჩამოვიყვანეთ მთელი ევროპიდან საქართველოში. ფორუმის მონაწილეებმა გაიცნეს საქართველოს ტურისტული მიმართულება, რომელსაც აქვს საჭირო ინფრასტრუქტურა ღონისძიებების გასამართად, ასევე გაეცნენ ქართულ კულტურას. იმედი მაქვს, ძალიან ბევრი ღონისძიების ორგანიზატორი საქართველოს აირჩევს სასურველ მიმართულებად“, – აცხადებს „m&I“-ის კომერციული დირექტორი ჰერი კაშემა.

„ძალიან მოხარული ვარ, რომ „m&I“-ის ფორუმი საქართველოში ტარდება. გასულ წელს მქონდა პატივი შევხვედროდი ორგანიზატორებს, ჩვენ განვიხილავდით ფორუმის საქართველოში ჩატარებას და ძალიან სასიხარულოა, რომ დღეს ფორუმი აქ იმართება. მოხარული ვარ, რომ საშუალება მოგვეცა, დაგვეთვალიერებინა დედაქალაქი, ფორუმის ფარგლებში ჩვენ ვხვდებით პარტნიორებს, განვიხილავთ გეგმებს. საქართველოს ბევრი რამ შეუძლია შესთავაზოს როგორც პატარა, ასევე დიდ ჯგუფებს, რომლებსაც სურთ, აღმოაჩინონ ლამაზი ქვეყანა. ძალიან სასიამოვნოა, რომ ბუდაპეშტსა და ქუთაისს შორის პირდაპირი ფრენებია“, – განაცხადა ფორუმის მონაწილემ ზუზანა ბარტა ნაგიმ უნგრეთიდან.

ფორუმში მონაწილე დამკვეთები სამიზნე ბაზრებზე მოქმედ მსხვილ კომპანიებს წარმოადგენენ, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ღონისძიებების დამკვეთ კლიენტებთან, შემდგომში ღონისძიებების ორგანიზებისთვის სხვადასხვა ქვეყნისა თუ დანიშნულების ადგილის შეთავაზების მიზნით.

ფორუმის ფარგლებში საქართველოს ევროპიდან ეწვია 65 პოტენციური დამკვეთი. ასევე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ტურიზმის სფეროში მოღვაწე, კერძო სექტორის სერვისის მიმწოდებელი, 60 საერთაშორისო კომპანიის წარმომადგენელი.

m&I ფარგლებში 83 სერვისის მიმწოდებელი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია, **B2B** ფორმატში, 3 დღის განმავლობაში 40-მდე შეხვედრას მართავს პოტენციურ დამკვეთებთან.

„m&I-ის ფორუმი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია საქმიანი ტურიზმის სფეროში. პირველად, რამდენიმე წლის წინ როდესაც ამ ფორუმს ვესწრებოდით, არ გვჯეროდა, რომ მალე საქართველო ამ ფორუმის მასპინძელი იქნებოდა. ჩვენი ქვეყნისთვის ფორუმის გამართვა ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც ქვეყნის პოპულარიზაციისთვის, ასევე ევროპელი სტუმრების მიღების კუთხითაც. დიდი იმედი მაქვს, საქართველო უმასპინძლებს ძალიან ბევრ სტუმარს ევროპიდან“, – განაცხადა სასტუმრო ბილტმორი თბილისის წარმომადგენელმა მარიამ ქუთათელაძემ.

ფორუმის მონაწილე დამკვეთები სამიზნე ბაზრებზე არსებულ მსხვილ კომპანიებს წარმოადგენენ, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ღონისძიებების დამკვეთ კლიენტებთან, შემდგომში მასშტაბური ღონისძიებების ორგანიზებისთვის სხვადასხვა ქვეყნისა თუ დანიშნულების ადგილის შეთავაზების მიზნით.

◎ ძმის კვალზე

სრული თაიგული



საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავე 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა 4 მედლით დაასრულა.

კონსტანტინე პეტრიაშვილი (92 კგ) – ოქრო! გენო პეტრიაშვილის უმცროსმა ძმამ ევროპის ჩემპიონატის ფინალში ბერძენი მეტოქე 10:0 დაამარცხა!

ნიკოლოზ მაისურაძე (80 კგ) – ვერცხლი. თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქართველმა ჭაბუკმა ევროპის ჩემპიონატის ფინალში ბოლო წამზე დაკარგა ოქროს მედალი ნეიტრალური გუნდის სახელით მოჭიდავე რუს ალდატ კესაევთან შეხვედრაში.

მათე ცინაძე (51 კგ) – ბრინჯაო. ცინაძემ დასკვნით პაექრობაში ნეიტრალური გუნდის ბელარუსი წევრი ჰლეგ პიატროუ დაამარცხა – 7:0.

რატი რევაზაშვილი (65 კგ) – ბრინჯაო. კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა რატი რევაზაშვილი (65 კგ). რეპეშაჟის ფინალში მან თურქი კორაი ეკენი დაამარცხა (4:2).

◎ ევრო – 2024

ვინ – ვის?!

შვიდიოდე თამაშიც და ჩვენთვის ასე ტკბილად გასახსენებელი ევროპის მე-17 საფეხბურთო ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილება გახდება.

მეოთხედფინალური წყვილებიდან დღეევანდლები ნააღრევ ფინალებადაც კი შეგვიძლია მივიჩნიოთ.

5 ივლისი. გერმანია – ესპანეთი. სტუტგარტი. **20 საათი.** პორტუგალია – საფრანგეთი. ჰამბურგი. **23 საათი.**

6 ივლისი. ინგლისი – შვეიცარია. დიუსელდორფი. **20 საათი.** ნიდერლანდები – თურქეთი. ბერლინი. **23 საათი.**

ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ მასპინძელთა და პირველთა დიდი ომის წინ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებსაც აქამდე 3-3 ტიტული გამოარჩევთ.

პოშუა პიმიხი – „ესპანეთი არის გუნდი, რომელსაც შეხვედრის გაკონტროლება სურს, მაგრამ ჩვენც იგივე მიზანი გვაქვს. დინამიზმი, სიმამაცე და ძალა გვჭირდება. იმედი მაქვს, საკუთარი კედლები უპირატესობას მოგვანიჭებს. იქნება როგორც გუნდური, ისე ინდივიდუალური ბრძოლები. მოკლედ, წინაა ორივესთვის მძიმე მატჩი“.

ანდრეს ინიესტა – „ვხედავ, რომ ესპანეთის ნაკრები საუცხოოდ თამაშობს და კარგი წინათგრძნობა მაქვს. მართალია, ჩვენს მრისხანე დღეევანდელ მეტოქესთან მძიმე ბრძოლა გველის, მაგრამ მწამს, რომ გამარჯვება შეგვიძლია. დიახ, ფურია როხას ამუამინდელი დონე ძალზე მაღალია და იგი ამას დღემდე ამტკიცებს, ამიტომ მჯერა, რომ ასეთი თამაისთვის დასაჩუქრდება“.

მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავი დებიუტის შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრები მისთვის ისტორიულ გერმანულ ფორუმს უკვე გამოეთიშა, ორიოდე სიტყვით უნდა დავუბრუნდეთ ჯვაროსანთათვის მოწყობილ მართლაც მეფური დახვედრის ცერემონიალს და მთხლექალა ფორმალური პრეზიდენტის შესახებ განვაცხადოთ:

მთავრობისა და პარლამენტის თავკაცთა მიერ ღირსების ორდენით დასაჯილდოებლად წარდგენილთა სია საგრძნობლად შეათხელა, მაგრამ ბოლოს ყველა დააფასა; ბიჭებს დამსახურებულ ჯილდოს სექტემბერში გადავცემო, მაგრამ ახლა მგონი ივლისია. ვითომ აწი დაღვინდება? მეტი არაა თქვენი მტერი.

როცა საკუთარი უბადრუკი ფანჩატურის დიასახლისი ასეთ მაგალითს აძლევთ, წვრილფეხობასა

და მათ დამქაშებს რაღა უნდა მოვთხოვოთ? ჰოდა, საერთო-სახალხო ზეიმის ათიათასობით მონაწილეთა შორის მძივებივით გაბნეულებმა, პრემიერის მისასალმებელი გამოსვლისას საპროტესტო მუხტის არარსებული საყოველთაო ხასიათის წარმოსაჩენად ყმუილსა თუ ღმუილზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს და ამაოდ შეეცადნენ ბედნიერ თანამემამულეთა კიდევ ერთხელ გახლეჩვას. ბუნებრივია, კოვზი ამჯერადაც ნაცარში ჩაუვარდათ ისევე, როგორც პოპულარულ ტელეკომენტატორ **დიმა ოგოლაძეზე** განხორციელებული პროვოკაციის დროს, რომელიც ჩვეული ოსტატობით წარმართავდა გალა-ღონისძიებას.

სიტყვისთვის მიკროფონი ვერ გაიმეტა ბუდუ ზივზივაძისთვისო – დააბრალეს ჩვენს ძვირფას კოლეგას, რბილად რომ ვთქვათ, ამ ტიპიურმა ახვრეგმა. მართალია, მალევე ქომაგთა საყვარელმა ფეხბურთელმა და მამამისმა ცილისმწამებლებს გარკვევით აუხსნეს გავრცელებული სისულელის უსაფუძვლობა და ჭეშმარიტების დაცვისკენ მოუწოდეს, მაგრამ, როგორც სჩვევიათ, სამთავრობო მაღალრეიტინგული საინფორმაციო საშუალების სახისათვის ბოდიში აქამდე არ მოუხდიათ.

დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, არც მოუხდიან – თევზი ხომ თავიდან ყარს და რაც ალხანაა, ისაა ჩალხანაც.

და ბოლოს – ევრო – 2024-ისა და მავნებელ ოპოზიციონერთა წკავწკავის მიუხედავად, ქართული საფეხბურთო სეზონი კალენდრის შესაბამისად გრძელდება და პოპულარული კონტინენტური საკლუბო ტურნირების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე სლავა მეტრეველის სახელობის ეროვნული სუპერთასიც გათამაშდა.

პრესტიჟულ ჯილდოს მესამედ დაეუფლა ქუთაისის ტორპედო, რომელმაც ფინალურ სამამულო ელ კლასიკოში თბილისის დინამოს 2:1 სძლია, ხოლო მესამე ადგილისთვის მატჩში ბათუმმა იბერია დაამარცხა – 3:2.

◎ ოვალური ბურთი

ძველ ნაცნობებთან

უკვე გაუწყეთ, რომ პირველი ქართული ფრენჩაიზი შავი ლომი ახალ სარაგბო სეზონში მეორედ ითამაშებს ევროპის პროფესიულ საკლუბო ტურნირში – ჩელენჯ თასზე.

ბორჯღალოსანთა საბაზო გუნდი კარდიფში გამართული წილისყრის შედეგად ამჯერადაც მესამე ჯგუფში მოხვდა ძველ ნაცნობებთან ერთად: სქარლეთისი (უელსი), ედინბურგი (შოტლანდია) და გლოსთერი (ინგლისი). მათ კამპანიას ფრანგული ვანი და ბეიონი გაუწევენ, ხოლო კონკრეტულად რომელ ტრიოსთან და სად გავმართავთ 6-8 და 13-15 დეკემბერს, ასევე 10-12 და 17-19 იანვარს, ჯგუფური ეტაპის 4 მატჩს, მალე გაირკვევა.

პირველი ჯგუფი: კარდიფი (უელსი), ქონახი (ირლანდია), ჩიტასი (სამხრეთ აფრიკა), პერპინიანი (საფრანგეთი), ლიონი (საფრანგეთი), ძეგრე (იტალია).

მეორე ჯგუფი: მონპელიე (საფრანგეთი), პო (საფრანგეთი), ნიუკასლი (ინგლისი), დრაგონსი (უელსი), ლაიონსი (სამხრეთ აფრიკა), ოსფრეიზი (უელსი).

და ბოლოს – დღეს 20 საათზე ბათუმის აჭარაბეთ არენაზე საზაფხულო ტესტ-სერიის პირველი მატჩია: საქართველო – ფიჯი (ტელეიმედზე).

გუშინ: სამხრეთ აფრიკა. 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური რაუნდი. ირლანდია – საქართველო 22:16 (12:6).

◎ ხუთი რგოლი

ცივი შხაპი

მართალია, პარიზის ოლიმპიადის საკალათბურთო საკვალიფიკაციო ტურნირს შერმადინისა და ბურჯანაძის დანაკლისით შევხვდით, მაგრამ პორზინგისისა და გრაუულისის სახით საკადრო პრობლემები მასპინძლებსაც სოლიდური ჰქონდათ, ამიტომ ლატვიელთაგან მოწყობილ ასეთ განკითხვის დღეს ძნელად თუ წარმოვიდგენდით.

ლატვია – საქართველო 83:55
17:13, 28:11, 13:17, 25:14

საქართველო: მამუკელაშვილი – 14 ქულა, 4 მოხსნა, ბითაძე – 7, 6, ანდრონიკაშვილი – 6, ჯინჭარაძე – 5, ოჩხიკიძე – 5, ტომასონი – 4, ლონდარიძე – 4,5, ფევაძე – 4, სანაძე – 3, კორსანტია – 3 ქულა.

როგორც ხედავთ, მსუბუქი ტრავმის გამო **ალექსანდრ ჯიკიჩმა** არ გარისკა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ზუსტად ვერ გათვალა და ფილიპინებთან გადამწყვეტი ბრძოლის წინ გუნდის კაპიტანი და უდავო ლიდერი **თორნიკე შენგელია**, რომელმაც იტალიურ ვირტუს ბოლონიასთან კონტრაქტი 1 სეზონით გაახანგრძლივა, ამჯერად დაასვენა. ალბათ, სწორედ ეს გახლავთ ბალტიისპირელთა აშკარა უპირატესობის საიდუმლო, თუმცა, ნურც იმ უსუსურობაზე დავხუჭავთ თვალს, მეტოქის ტრადიციულ კოზირს რომ წარმოადგენს და ნებისმიერი შემადგენლობით ექვემდებარება ღირსეულად გამკლავებას. მიხვდით, ალბათ – საუბარია პერიმეტრიდან ჩვენი კალათის უმოწყალოდ დაბომბვაზე, რომელიც 12 სამქულიანის(!) ჩაგდებაში გამოიხატა 4-ის წინააღმდეგ.

სხვათა შორის, ვერც საკუთარ ფარქვეშ ვიბრძოდით საკადრისად, უკანახაზელთა და, განსაკუთრებით, ტომასონის თამაში კი სავალალო სანახავი გახლდათ.

იმედის სხივი მე-3 პერიოდმა ააკიაფა, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება: განსხვავებული მცნებებია ჩვენი გუნდი შენგელიასთან ერთად და მის გარეშე.

დავძენთ, რომ სავსებით შესაძლებელია ლუკა დონჩიჩი პარიზს მიღმა დარჩეს, რადგან სლოვენია ხორვატებთან დამარცხდა – 92:108.

მინი-ტურნირის მეორე დღეს უსიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა ლატვიამ, რომელმაც არც მეტი, არც ნაკლები, თავისთვის სასურველი ანგარიშით უტიფრად ჩაიხადა ფილიპინებთან – 80:89 და ნახევარფინალში ვადამდე თვითონ კი გავიდა, მაგრამ ჩვენ მაქსიმალურად გაგვირთულა საქმე – პირველი, ჯგუფური ეტაპის დასაძლევად აზიელები მინიმუმ 19 ქულით უნდა დაგვემარცხებინა. არადა, ბალტიისპირელთა მთავარი მწვრთნელი **ლუკა განკი,** როგორც მოგეხსენებათ, ვირტუს ბოლონიაში **თორნიკე შენგელიას** ავარჯიშებს და, წესით, კოლეგიალობა მაინც უნდა გამოეჩინა საკუთარი სამაგალითო შეგირდის მიმართ.

ცნობისთვის – რამდენიმე წლის წინათ ქართველებთან, როგორც გახსოვთ, მასპინძელთა იტალიელი თავკაცის წინამორბედი, ერთ დროს სოხუმის დამრიგებელი **აინარს ბაგატსკისიც** ჩაიჭრა. ასე რომ, სამარცხვინო ტენდენციის გათვალისწინებით, გასაკვირი არაფერია. დიახ, მორალი მოითხოვს, რომ თუნდაც პრაგმატულ ინტერესებზე ამაღლდე...

სხვათა შორის, ფილიპინების გუნდს უდავო ლიდერი **პლარპსონი** აკლია, მაგრამ ლატვიელთა გულუხვი საჩუქარი ტკბილად შეირგო.

გუშინ: საქართველო – ფილიპინები 96:94. ჯვაროსნებმა ჩინებულად დაიწყეს მატჩი – 16:0, მეორე პერიოდში ერთ ეპიზოდში პროგრამა-მაქსიმუმიც შეასრულეს – 40:20 და დიდ შესვენებაზე 12-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ – 55:43, მაგრამ ბრძოლის მეორე ნახევარში ძალები აღარ ეყოთ და მეტოქეს ამჯერადაც უამრავი სამქულიანი ჩააგდებინეს.

ასე რომ, ჩვენთვის პარიზის საგზური მიუღწეველი აღმოჩნდა.

◎ ტრაგედია



ჩემპიონის ბედისწერა

ცნობილი ქართველი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ნუგზარ წურწუმია საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

როგორც ინფორმაცია ვრცელდება, 27 წლის ფალავანმა თავი მოიკლა, თუმცა რა გახდა სუიციდის მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია.

ნუგზარ წურწუმია 2019 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. გარდა ამისა, პლანეტის პირველობაზე ერთხელ ვერცხლის, ორჯერ კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ევროპის ჩემპიონატებზე წურწუმია ერთი ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედლის მფლობელი იყო.

ხსოვნა

მირზა ქორქაშვილი ოჯახით დიდ გულისტკივილს გამოხატავს უახლოესი მეგობრის

კახა ძიძიგურის

გარდაცვალების გამო, თანაგრძნობას უცხადებს მის უკეთილშობილეს და უერთგულეს მეუღლეს თინათინ ლეკიშვილს, ნათესავებს, ახლობლებს, მეგობრებს.

პანაშვიდი 5 ივლისს, 17 საათიდან, გამოსვენება შაბათს, 6 ივლისს 14 საათზე, ჭავჭავაძის გამზირი, პირველი შესახვევი (თურქეთის საელჩოსთან), სახლი N6.

განცხადება

საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - **ქ. თბილისში, ზაჰესის ტერიტორიაზე შპს „აგროქემიკალს ჯორჯიას“ მიერ მინერალური სასუქების და მცენარეთა დაცვის საშუალებების (შაბიამანი და ბორდო) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება**

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 22 ივლისი, 12:00 საათი, ქ. თბილისი, გლდანის რაიონის გამგეობის შენობა (მის: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის N1გ).**

საჯარო განხილვა დიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 24 ივლისის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 27 ივნისი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

ნინიკო გიორგაძე გარდაცვლილი იპოვეს

ფოთში მდინარე რიონის მიერ გამორიყული ცხედარი ოჯახის წევრებმა ამოიცნეს. ის ერთი კვირის წინ დაკარგული ქუთაისელი, 20 წლის ნინიკო გიორგაძეა.

ფოთში, მდინარე რიონთან, ახალგაზრდა ქალის ცხედარი გუშინწინ იპოვეს. ცხედარი ადგილობრივმა სანაპირო ზოლზე აღმოაჩინა და პოლიციაში დარეკა.

ნინიკო გიორგაძეს 26 ივნისის საღამოდან ეძებდნენ.

შსს-მ გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო.

წყალდიდობა შვეიცარიის სამხრეთ ნაწილში

შვეიცარიის სამხრეთით მომხდარი წყალდიდობის გამო, სულ მცირე 4 ადამიანი დაიღუპა, კიდევ ერთი უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა. ინფორმაციას CNN-ი ადგილობრივ მთავრობაზე დაყრდნობით ავრცელებს.

შვეიცარიის საზოგადოებრივი მაუწყებლის SRF-ის ცნობით, გარდაცვლილთაგან სამი ადამიანი, მაგგიას ველზე, მეწყრის შედეგად დაიღუპა.

ვალეს კანტონის პოლიციის ცნობით, ერთი გარდაცვლილი საას-გრუნდში მდებარე სასტუმროში იპოვეს. სავარაუდოდ, მამაკაცი მოულოდნელად მოვარდნილმა წყლის ნაკადმა იმსხვერპლა.

„ბერილი“ მექსიკას უახლოვდება

მას შემდეგ, რაც ქარიშხალი „ბერილი“ იამაიკას დაატყდა თავს, ის მექსიკისკენ, კაიმანის კუნძულებისკენ მიემართება.

ქარიშხალმა მექსიკისკენ გეზი გუშინ აიღო. მანამდე კი, იამაიკაზე, საცხოვრებელი სახლები, ელექტროგადამცემი ბოძები და სხვა ინფრასტრუქტურა გაანადგურა, გამოიწვია ნგრევა და წყალდიდობა. არის მსხვერპლიც.

იამაიკამდე ქარიშხალმა კარიბის ზღვის პატარა კუნძულებზე გაიარა და მათ დიდი ზიანი მიაყენა.

თაღლითებს 10 წლამდე პატიმრობა ელით!

საქართველოს პროკურატურამ ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ე.წ. ქოლ-ცენტრის მეშვეობით მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტზე ორი პირს ბრალდება წარუდგინა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა ე.წ. ქოლ-ცენტრი ჩამოაყალიბეს, რომლის ფუნქციონირებისთვის ელექტრონული სავაჭრო პლატფორმა შექმნეს. ბრალდებულები გამოგონილი სახელებით უკავშირდებოდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, უქმნიდნენ მათ სანდო საინვესტიციო კომპანიის შთაბეჭდილებას და მოგების მიღების მიზნით, ფულადი თანხების ინვესტირებას სთავაზობდნენ, რასაც შემდგომ თაღლითურად ეუფლებოდნენ.

გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, ორგანიზებული ჯგუფის წევრები ავსტრალიის მოქალაქის კუთვნილ 340 000 ლარზე მეტი ოდენობის თანხას თაღლითურად დაეუფლნენ.

ორივე დაკავებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორგანიზებული ჯგუფის მიერ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლება) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეეფარდათ.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ამ ეტაპისთვის ორგანიზებული ჯგუფის 4 წევრია დაკავებული. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში გამოძიება გრძელდება დანაშაულთან შესაძლო კავშირში მყოფი სხვა პირების დადგენის მიზნით.

სასამართლომ უჩა აბაშიძე და მარი იაშვილი პატიმრობაში დატოვა

პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვების და შენახვის ფაქტებზე ბრალდებული ცოლ-ქმრის საქმეზე 3 ივლისს წინასასამართლო სხდომა გაიმართა, სადაც მხარეებმა მტკიცებულებების დასაშვებობაზე იმსჯელა.

2024 წლის 14 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვების და შენახვის ფაქტებზე ბრალდებულ უჩა აბაშიძეს და მის მეუღლეს მარი იაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა შეუფარდა.

საქართველოს პროკურატურამ პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვების და შენახვის ფაქტებზე 2 პირს ბრალდება წარუდგინა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ უ.ა.-მ და მ.ი.-მ, სხვადასხვა პირთა პირადი ცხოვრების საიდუმლოს, კერძოდ სქესობრივი კავშირის ამსახველი ვიდეო-აუდიოჩანაწერების უკანონოდ მოპოვების მიზნით, მ.ი.-ს კუთვნილ საცხოვრებელ ბინაში ფარულად დაამონტაჟეს ვიდეო-აუდიოჩამწერი მოწყობილობები, რომელთა საშუალებით მუდმივ რეჟიმში, ფარულად ხდებოდა მ.ი.-ს სხვადასხვა პირებთან ინტიმური კავშირის უკანონო ჩაწერა.

ათეულობით ჩამწერი მოწყობილობა დამონტაჟებული იყო საცხოვრებელი ბინის ოთახებში, მათ შორის, საძინებელში და ფარულად იყო განთავსებული სხვადასხვა სახის

საყოფაცხოვრებო ტექნიკასა და ნივთებში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ მ.ი.-ს საკონტაქტო მონაცემები სექსუალური მომსახურების სხვადასხვა ინტერნეტ საიტებზე იყო გამოქვეყნებული, სადაც მისი მხრიდან სექსუალური მომსახურების შეთავაზება ხდებოდა. მას შემდეგ, რაც კონკრეტულ პირთან მოხდებოდა შეთანხმება და იგი მივიდოდა ზემოხსენებულ ბინაში, ბრალდებულები, აღნიშნული პირისგან მალულად, სპეციალურად დამონტაჟებული მოწყობილობების საშუალებით, სისტემატურად, უკანონოდ იღებდნენ და ინახავდნენ ინტიმური კავშირის ამსახველ აუდიო-ვიდეოჩანაწერებს.

აღნიშნული გზით, 2019 წლიდან 2024 წლამდე პერიოდში, განხორციელდა ასობით სხვადასხვა პირის სქესობრივი კავშირის ამსახველი ათასობით ვიდეო-აუდიომასალის ჩაწერა. გამოძიების მიერ უკვე იდენტიფიცირებულია რამდენიმე პირი, რომელთა პირადი ცხოვრების საიდუმლოს ამსახველი ჩანაწერებიც უკანონოდ ინახებოდა ბრალდებულთა კომპიუტერულ ტექნიკასა და ელექტრონული ინფორმაციის შემნახველ მოწყობილობებში. აღნიშნულ პირებს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭათ.

ამასთან, ერთ-ერთი ბრალდებული საცხოვრებელ სახლში მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა საბრძოლო მასალას – სამხედრო სპეციალური დანიშნულების 30 ცალ ვაზნას.

ორივე პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის პირველი ნაწილით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა) წარედგინა, ერთ-ერთ მათგანს კი ასევე 236-ე მუხლის მესამე ნაწილით (საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა). დანაშაული სასჯელის სახით 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.“

კავკასიის უნივერსიტეტში ისტორიკოსისა და არქეოლოგის, პროფესორ ზურაბ ბრაგვაძის სახელობის აუდიტორია გაიხსნა



ღონისძიებას CU-ის პრეზიდენტი კახა შენგელია, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ზურაბის ოჯახის წევრები, კოლეგები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. კახა შენგელიამ აუდიტორიას სიტყვით მიმართა და ზურაბ ბრაგვაძის შესახებ ისაუბრა. სიტყვით წარდგნენ სხვა სტუმრებიც, რომლებმაც ყურადღება ზურაბის პროფესიონალიზმსა და პიროვნულ თვისებებზე გაამახვილეს. მათ გაიხსენეს პროფესორის მოღვაწეობა და წვლილი კავკასიის უნივერსიტეტის განვითარებაში.

როგორც ზურაბ ბრაგვაძის შვილი, დავით ბრაგვაძე აღნიშნავს, ზურაბ ბრაგვაძის სახელობის აუდიტორიის გახსნა იმ დამსახურებების ხაზგასმაა, რაც მას უნივერსიტეტის წინაშე მიუძღვის.

„მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის მთელ ოჯახს. საჯარო მადლობაც გადავუხადე ყველას.

ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია და მნიშვნელოვანი ხაზგასმა იმ დამსახურების, რაც ზურაბ ბრაგვაძეს ჰქონდა უნივერსიტეტის წინაშე.

ძალიან ემოციური საღამო იყო. გამოვიდნენ ზურას კოლეგები, უნივერსიტეტის პრეზიდენტი, ოჯახის წევრები და მეგობრები. გაიხსენეს სხვადასხვა ამბები მასზე და ძალიან ლამაზი, თბილი და ემოციური საღამო გამოვიდა“, – განაცხადა დავით ბრაგვაძემ.

ზურაბ ბრაგვაძე კავკასიის უნივერსიტეტში 2011 წლიდან ეწეოდა აქტიურ საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობას. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა არაერთი არქეოლოგიური ექსპედიცია. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიის, ისტორიისა და კულტურის სფეროში: ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, პოლონურ ენებზე. მათ შორის 5 მონოგრაფია და 2 სახელმძღვანელო.

დათა ქაჯაია პირველი ქართველი ავტომრბოლელია ფერარის საჭესთან

ყველაზე ტიტულოვანი ქართველი ავტომრბოლელი და ევროპის ჩემპიონი TCR-ის მიმართულებით, დათა ქაჯაია ახლა უკვე პირველი ქართველია, რომელმაც GT OPEN CUP-ზე ფერარის მარკის ავტომობილით იასპარეზა.

მსოფლიო ავტოსპორტის რუკაზე ფიქსირდება საქართველო. ამაყი ვარ იმით, რომ ისტორიაში პირველად ევროპის ჩემპიონატზე ქართული დროშის ქვეშ ქართველი მრბოლელი მართავს ავტომობილს, – აცხადებს დათა ქაჯაია.

რბოლა გერმანიაში, ქალაქ ჰოკენჰაიმში გაიმართა. ქართველი მრბოლელი მასში „თეგეტა მოტორსისა“ და Shell-ის მხარდაჭერით მონაწილეობდა.

50-წუთიანი გზის პირველი ნახევრის განმავლობაში საჭეს დათა მართავდა, მან პირველივე ჯერზე ოცდასამივე მრბოლელი უკან ჩამოიტოვა და ტრასის პირველი ნახევარი პირველმა გაიარა.

„ყირამალა“ – სიყვარულით საფრანგეთს საქართველოდან...

პარიზში ქართველი მხატვრის, გელა წულაძის სკულპტურა „ყირამალა“ დაიდგა. ამის შესახებ ინფორმაციას სოციალურ ქსელში, ონლაინ ჟურნალი AT.ge – ავრცელებს.

„ძალიან მაგარი ამბავი. ქართველი მხატვრის გელა წულაძის სკულპტურა შუაგულ პარიზში დაიდგა. სენ ჟერმენზე, ყველასთვის ცნობილი „კაფე დე ფლორის“ წინ, ქართულ ,,ყირამალას“ მთელი ღამის განმავლობაში ამონტაჟებდნენ. **„ყირამალა“ – სიყვარულით საფრანგეთს საქართველოდან** – წერს ონლაინ ჟურნალი.

ერთიან ეროვნულ და საერთო სამაგისტრო გამოცდებს პატიმრებიც აბარებენ

მსჯავრდებულთათვის აკადემიური განათლების ხელმისაწვდომობა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პრიორიტეტია. ამ მიზნით პენიტენციურ სისტემაში 2022 წლიდან მოქმედებს ინოვაციური პროექტი „ციფრული უნივერსიტეტი“, რომელიც პატიმრებს შესაძლებლობას აძლევს, ონლაინ ფორმატში დისტანციურად მიიღონ უმაღლესი განათლება საქართველოს ავტორიზებულ უნივერსიტეტებში როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის საფეხურებზე.

აღსანიშნავია, რომ „ციფრული უნივერსიტეტი“ ციხისა და სასჯელაღსრულების სისტემების ევროპულმა ორგანიზაციამ (Europris) ევროპის მასშტაბით 3 საუკეთესო ინოვაციას შორის დაასახელა. Europris-ის ყოველწლიურ ჯილდოზე ევროპის ქვეყნების 37 პროექტი იყო წარდგენილი.

აბიტურიენტთა შორის 34 პატიმარია, აქედან 4 არასრულწლოვანი.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი,

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულია
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.
დამკაბადონებელი
გიორგი მახარაშვილი.

გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“
განახლებული ლოგოს
ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი

მისამართი:
თბილისი. აკაკი
წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ
მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია
და ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით. რედაქციის
აზრი, შესაძლოა, არ
ემთხვეოდეს ავტორთა
მოსაზრებებს.
რედაქციაში
შემოსული მასალები
არ რეცენზირდება და
ავტორებს უკან არ
უბრუნდებათ.
ფაქტების სიზუსტეზე
პასუხისმგებელია
ავტორი.
საავტორო უფლებები
დაცულია. რედაქცია
პასუხს არ აგებს
სოციალური ქსელიდან
და სხვა მედია-
საშუალებებიდან
გადმობეჭდილ, ან
უცხოური პრესიდან
თარგმნილი მასალების,
ფაქტების, ინფორმაციის
სიზუსტეზე,
აგრეთვე სარეკლამო
განცხადებების
შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ: 577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 8 ივლისს

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.7996; ევრო - 3.0124;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5572;
100 რუბლი - 3.1731; თურქული ლირა - 0.0859;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6456;
1000 სომხური დრამი - 7.2199.

ამინდი 5 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:

ბარი -	ღამე	+17,	დღე	+39
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+36

დასავლეთი საქართველო:

ბარი -	ღამე	+19,	დღე	+34
მთიანი რაიონები -	ღამე	+15,	დღე	+37
თბილისი:	ღამე	+19,	დღე	+38